2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს, ადამიანური რესურსების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, პროფესიულ განვითარებას, სამუშაოს ხარისხის შესრულების მართვას. დოკუმენტი ამკვიდრებს არადოსკრიმინაციულ პოლიტიკას. ასევე სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელიც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობება როგორც მოსწავლეებს, ასევე მშობლებსა და მასწავლებლებს. შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. შინაგანაწესი გამოკრულია

სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ნებისმიერიცვლილება ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს ცვლილების შეტანიდან 5 დღეში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის შიგა რეგულაციების შსაბამისად. სკოლის მიერ პერსონალის მართვა დამყარებულია მათ საჭიროებებზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, რომელიც ადგენს მასწავებელზტა საჭიროებებს. სკოლა თანამშრომლობს არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან. სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვს პერსონალის დანიშვნის ბრძანებები , რომლებიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე სკოლაში კომისიები დაკომპლექტებულია ამავე კანონის შესაბამისად. დაცულია ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, რასაც ადასტურებს კომისიის მრავალრიცხოვანი შემადგენლობა სხვადასხვა უწყებებიდან. ვაკანსიები ცხადდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე www teacherjobs.ge, საბუთებს არჩევს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი. პირადი საქმეების გაცნობით დგინდება, რომ სკოლაში 2020 წლის 23 ივლისის შემდეგ დასაქმებულია 4 მასწავლებელი, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები. დასაქმებულებს აქვთ წარმოდგენილი შემდეგი ცნობები: ნასამართლობის შესახებ ცნობა, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. ხოლო ტექნიკურ პერსონალს არ აქვს წარმოდგენილი ნასამართლობის შესახებ ცნობა და ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლა ვაკანსიის დროს განსაზღვრავს შესაბამის სააკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამას ადასტურებს შესაბამისი ბრძანებები, თუმცა სკოლას სხვა შემთხვევაში არ აქვს დადგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე სკოლას მასწავლებლებთან არ აქვს დადებული ხელშეკრულებები მათი სტატუსის შესაბამისად.

სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება არც ერთ ქვემოთ ჩამოთვლილს.

ა) „პედიატრია;

ბ) „საოჯახო მედიცინა;

გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა მასწავლებლებთან სტატუსის მიხედვით დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

სკოლის ექიმის კვალიფიკაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ვადად განსაზღვრულია 1 წელი (2024 წლის 11 სექტემბერი)

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა იმართება მონაწილეობითა და გუნდურობის პრინციპის დაცვით. სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის 3 მასწავლებლი, 3 მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე; სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფი. ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებლებით. მასწავლებლები არიან თავისუფალი თავიანთი იდეებისა და ინიციატივების განხორციელებაში. გუნდური მუშაობის პრინციპები იკვეთებოდა ინტერვიუების დროსაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

საჯარო სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები. ასევე წარმოდგენილია კრიტერიუმები, რითაც სკოლა ყოველწლიურად ადგენს საუკეთესო მასწავლებელს. სკოლამ წარმოადგინა მადლობის ბარათები, რომლებიც სხვადასხვა დროს მიიღეს მასწავლებლებმა დაკისრებული მოვალეობების საუკეთესოდ შესრულებისათვის. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, რომლის მიხედვით სკოლის ნებისმიერი წარმატება და ინიციატივა თავსდება სკოლის facebook გვერდზე სოციალურ ქსელში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ
- ბრძანება წახალისებაზე
- ექიმის ხელშეკრულება
- ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნების მტკიცებულება
- ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნების მტკიცებულება
- მადლობის სიგელი
- მასწავლებლის ხელშეკრულება
- ოქმი წლის საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა
- ოქმი-წახალისება
- სკოლის შინაგანაწესი 2023;
- ხარისხის განვითარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია კრიტერიუმები, თუ როგორ უნდა შეაფასოს სკოლამ მასწავლებელი, კათედრა და ა. შ. კრიტერიუმების მიხედვით შესაძლებელია მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა. სულ სკოლა მასწავლებელს აფასებს 10 მიმართულებით. სკოლას აღნიშნულ დოკუმენტში არ აქვს განსაზღვრული პერსონალის (გარდა მასწავლებლებისა) შეფასებისა და პროფესიული საჭიროების დადგენის მექანიზმი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს N 2-24/3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, როელიც მოიცავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებს,

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა მასწავლებელთა მუშაობის შეფასება გარე მექანიზმების მეშვეობით. რაც შეეხება შიდა მექანიზმებს, სკოლაში მასწავლებელთა შეფასება ხორციელდება ჯგუფის მიერ, რომელიც შექმნილია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ასევე ეს ჯგუფი ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს და ხდება მასწავლებელთა მიზნობრივი გადამზადება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. სკოლას ჰყავს საგნობრივი (სპორტის) მიმართულების ექსპერტი, ასევე სკოლაში დასაქმებულია 4 წამყვანი, 18 უფროსი, 1 უსტატუსო მასწავლებელი. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სკოლის წამყვანი მასწავლებლები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს კოლეგებთან გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. ამ შეხვედრებს პირისპირ შეხვედრის ხასიათი აქვს, რადგან სოფელში ინტერნეტის პრობლემა ხშირადაა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. .სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლაში ჰყავთ ახალი კადრები. მათი ინტეგრაცია სკოლაში ხორციელდება შეხვედრების გზით. ასევე ახალ მასწავლებელს აცნობენ სკოლის გეოგრაფიას, გარემოს. სამუშაო განრიგს, ახალ კლასებს. სკოლა პატარაა და იმდენად თანამშრომლობიი გარემოა, ინტეგრაცია თანამშრომლებში არ ჭირს. აღნიშნული რეგულაციები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტშიც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლაში ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია. ხშირად ეს სჯოლის ბაზაზე ხდება და ამაში მონაწილეობას იღებს როგორც ექსპერტი მასწავლებელი, ასევე სკოლის წამყვანი მასწავლებლები. აღნიშნული პროცედურები გაწერილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში და ერთწლიან სამოქმედო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

გეგმაში. სკოლა თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, როკო აკადემიასთან და USAID-თან, რათა მასწავლებლებმა მიიღონ პროფესული განვითარებასთან დაკავშირებული მომსახურება. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებსაც უზიარებენ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაცია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.
- USAID თანამშრომლობა
- როკო აკადემიასთან თანამშრომლობა
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც დირექტორის ბრძანებით შექმნილია 2023 წლის 15 მაისს. ინტერვიუირებიდლების დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ეს ჯგუფი გეგმავს გააქტიუროს მუშაობა. ამჯერად სკოლაში მოქმედებს სწავლის ხარისხის მონიტორინგის სისტემა შესაბამისი კრიტერიუმებით და ამ ჯგუფის რეკომენდაციებით ხდება სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლისდირექცია მოსწავლეებისთვის ქმნის საერთო სარგებლობის სივრცეებს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ როგორც მხატვრული, ასევე პროფესიული ლიტერატურის დამუშავება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობითი პროცესები წარმოდგენლია სტრატეგიული გეგმით, სამოქმედო გეგმით, სკოლის ძირითადი პროცესებია კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა). სკოლაში საგამნამათლებლო საქმიანობისთვის განხორციელებისთვის ყველა პირობაა, უსაფრთხო ფიზიკური გარემო, ბუნებრივი განათებებით, ელ. ენერგიით, გათბობის ცენტრალური სისტემით, უწყვეტი ინტერნეტით. სკოლის თანამშრომლები მონაწილეობენ სკოლის მართვაში თავიანთ კომპეტენციების ფარგლებში. მმართველობის დამხმარე პროცესებად სკოლა განიხილავს მშობელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართვას სასწავლო პროცესსა და მათს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმოამდგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები გაწერილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტში. დოკუმენტი დეტალურად მოიცავს პროცედურას თითოეულ შემთხვევაში, დანართებად ახლავს ამოცანები, რასაც სკოლა პრევენციის მიზნით გეგმავს და ასევე ახლავს განცხადების ფორმები და ნიმუშები, რათა დაინტერესებულ პირს არ გაუჭირდეს დირექციისატვის მიმართვა. სკოლაში ასევე მოქმედებს შინაგანაწესი, რომელიც ასევე განსაზღვრავს საჩივრების განხილვის სისტემას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმი გაწერილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტში. სკოლაში არაა დადებული ხელშეკრულებები სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლს დაწყებიდან გააფორმოს ხელშეკრულებები სკოლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც კანოის შესაბამისია.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვა
- ხარისხის განვითარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ბრძანება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სკოლის facebook გვერდს. ასევე ხშირად ტელეფონს. მშობლებსა და სასკოლო საზოგადოებას საკუთარი აზრის დაფიქსირება შეუძლიათ პირად მიმოწერებშიც, სოციალურ ქსელში მომიწერით, ასევე მშობლებისთვის ცნობილია სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის მისამართი. საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიან ელ. წერილითაც მიმართონ სკოლას. სოფელში ხშირადაა ინტერნეტის პრობლემა, ამიტომ პირადი შეხვედრები უფრო გავრცელებულია. სკოლა მართავს შეხვერდებს ნებსმიერ სიახლესთან, იდეასთან ან ინიციატივებთან დაკავშირებით. სკოლა ასევე საინფორმაციო დაფაზე ანთავსებს ყველა სიახლეს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების

წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. მშობლები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში საფეხურების მიხედვით, რომლებიც სამეურვეო საბჭოს მუშაობის პროცესშიწარმოადგენენ შესაბამისი საფეხურის მშობელთა ხმას და მათი ინტერესების დამცველს. თითოეული საფეხურიდან თითო წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე, ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი, ასევე, არის სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები (1 მოსწავლე, 1 მასწავლებელი, 1 მშობელი) არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლას მიეცა რჩევა: დისციპლინური კომიტეტი დააკომპლექტოს 2 მასწავლებელი, 2 მშობელი, 2 მოსწავლით, რათა დაცული იყოს პარიტეტიც და დისციპლინური კომიტეტის რომელიმე წევრის მიმართ დისციპლინური დევნისას, კომიტეტში დარჩეს მინიმუმ 3 წევრი, რათა შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების მიღება. წევრზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინფორმაციო დაფის ფოტო
- სკოლის წესდება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. სკოლაში დირექტორის მიერ ბრძანებით დანიშნულია უფლებამოსილი პირი, აღნიშნულ პირს გავლილი აქვს უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ მოდული. აღნიშნულიდასტურდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებისმანდატურის სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატით, სარეგისტრაციო ნომრით 211119. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები, რომლითაც სკოლის დერეფნები და შესასვლელ-გასასვლელები კონტროლდება. შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვისათვის სკოლას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები დაცული აქვს. სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია, ასევე, შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.

სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა იგი შეთანხმებული არაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან).

სკოლა არის ორსართულიანი და ორივე სართულზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმები.

სკოლას არ აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა. თუმცა აღსანიშნავია, რომ შენობის მდგრადობის შეფასების მოთხოვნით სკოლამ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

წერილით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 15 ივნისს (MES 4 23 0000693934). სკოლა ელოდება საინჟინრო ექსპერტებს სკოლის შენობის შემოწმების მიზნით.
აღსანიშნავია,რომ სკოლამ მიმდინარე წლის 26 ივნისს მიმართა შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (MES 7 23 0000737695), რომლის თანახმად სთხოვს, რომ შეისწავლონ სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის შენობის შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან და გასცენ შესაბამისი დასკვნა.
სკოლაში მუშაობს ექიმი, რომელიც შეირჩა კონკურსის წესით. ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ვინაიდან რეგიონში კვალიფიციური კადრების დეფიციტია, სკოლას არ ჰქონდა არჩევანის საშუალება. ამიტომ მოუწია ექიმად აეყვანა პირი, სტომატოლოგის კვალიფიკაციით. სამედიცინო პუნქტში ინფრასტრუქტურა მოწყობილია, ექიმის სამუშაო სივრცეში არის ვარგის წამლები დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე არის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარი.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა შსს სსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი წერილი (MES 7 23 0000737695. 21/06/2023), რომლითაც სკოლა ითხოვს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან სკოლის შესაბამისობის დადენას.
ასევე შსს სსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი წერილი (N MES 4 23 0001100570. 07/09/2023), რომლითაც სკოლა ითხოვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას და ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაგზავნილი წერილი (N MES 4 23 0000693934. 15/06/2023) რომლითაც სკოლა ითხოვს შესწავლილ იქნას შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მის შესაბამისად განგვისაზღვრულ იქნას მისი ექსპლოატაციის უსაფრთხოება. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების ვადად განსაზღვრავს 1 წელს, კერძოდ ვადა მითითებულია 15.06 2024
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. სკოლაში შემომსვლელი პირები აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში რომელსაც უზრუნველყოფს კარის ქალი. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. ამ ტიპის ღონისძიებების ეფექტური გატარება ამცირებს და მინიმუმამდე დაჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე ეს მექანიზმები იკითხება შინაგანაწესში და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში..

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს დამრიგებლის მუშაობის გეგმები, სადაც ჩანს, რომ სკოლაში პრიორიტეტულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დაცვა/შენარჩუნება. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლაში არასოდეს გამოვლენილა ფსიქოლოგიური ძალადობის არც ერთი შემთხვევა. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები გაბნეულად იკითხება სადამრიგებლო პროგრამებში, სკოლის შინაგანაწესში და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს დაცული იყო სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. საკლასო ოთახები იყო სუფთა, სელი წერტილებიც ასევე. ყველა დამლაგებელი აღნიშნავდა, რომ მათ იციან საკუთარი დასალაგებელი სივრცე. რადგან სკოლა ერთცვლიანია და სულ 12 ფინანსური კლასი ფუნქციონირებს, დამლაგებლებს აქვთ საკმარისი დრო სკოლის მოსაწესრიგებლად. სველი წერილების დასუფთავებას პასუხისმგებელი პირები ადასტურებენ ხელის მოწერით. სკოლის ყველა თანამშრომელი დაუყოვნებლივ აწვდის დირექციას ინფორმაციას ინვენტარის ნებისმიერი დაზიანების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლამ წარმოადგინა პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლითაც დაცულია პერსონალური მონაცემები. ასევე წარმოდგენილია ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის წარმომადგენლები, დამრიგებლები ან სხვა მასწავლებლები არ ანთავსებენ სოციალურ ქსელში ფოტოებსა თუ სხვა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორაციას. სკოლაში არ ყოფილა არც ერთი პრეტენზია არასოდეს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში ინფორმაციის დაცვის მიზნით ტარდება საინფორმაცო კამპანიები. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლაში ფუნქციონირებს მონაცემთა ბაზების ელექტრონული სისტემა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლაში შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს სამეურვეო საბჭოს წინაშე. მათ მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდეგ მუშაობაში. როგორც ინტერვიუსას გამოიკვეთა, სკოლაში არასდროს გამოვლენილა მძიმე ხასიათის დარღვევები, ამიტომ ასეთი რთული შემთხვევების მართვის გამოცდილებაც არ არსებობს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- III კლასის სადამრიგებლო პროგრამა
- XII კლასის სადამრიგებლო პროგრამა
- ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოება
- ბრძანება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ
- ბრძანება უფლებამოსილი პირის დანიშვნაზე
- ბრძანება ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცებაზე 2017 წ
- ექიმის ხელშეკრულება
- კლასის საათის ოქმები
- პასუხისმგებელი პირის სერთიფიკატი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი
- სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგი
- წერილი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენაზე
- წერილი შენობის მდგრადობის დადგენაზე
- პერსონალური მონაცემების დაცვა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ხარისხიანი სწავლისა და მუშაობის პირობებს. სკოლა არის რეაბილიტირებული. ყველა საჭირო რესურსით. სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეებით. სკოლაში ამჟერად არის 93 მერხი და სკამი. მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობაა 150. სკოლა შეძლებს ერთ ცვლაში მოემსახუროს 150 მოსწავლეს, მაგრამ დასჭირდება მერხებისა და სკამების დამატება. აღსანიშნავია, რომ სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციის გამო ბოლო ათწლეულია მოსწავლეთა რაოდენობა მკვეთრად არ იცვლება. სკოლას ამჟერად არ ჰყავს კლასკომპლექტი,
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სტადიონით თუ სხვა საერთო სარგებლობის სივრცით როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილების შემდეგ ასეთ შემთხვევაში მათზე მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი.

სკოლაში არის 4 გასასვლელი კარი, რაც მოსწავლეთა რაოდენობის მატების შემთხვევაში და საგანგებო სიტუაციების დროს შესაძლებელს გახდის ნაკადების მართვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სველი წერტიკების ადაპტირებულია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანი ვერ მოახერხებს მეორე სართულზე ასვლას სადაც განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის სამუშაო ოთახი. ასევე დახმარების გარეშე ვერ შეძლებს პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში შესვლას, რადგან კარის გადასასვლელი ზღურბლი მაღალია. ამჯერად სკოლას არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე ან მშობელი. სკოლაში არის 4 გასასვლელი კარი, რაც მოსწავლეთა რაოდენობის მატების შემთხვევაში ან საგანგებო სიტუაციების დროს შესამლებელს გახდის ნაკადების მართვას.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა სპორტული დარბაზის შესასვლელის ფოტო, სადაც ზღურბლი დადაბლებულია და შესამლებელია ეტლით მოსარგებლე პირის შესვლა. მეორე სართულზე ასასვლელის ადაპტირებისათვის და რესურსოთახის მოსაწყობად სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა 1 წელი, კერძოდ 18.09.2024
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლაში საკლასო ოთახები ნათდება ბუნებრივად, გარემო არის სუფთა, მოწესრიგებული. ეზო, რომელიც საკმაოდ დიდია, სუფთაა ბუნებრივი ბალახით დაფარული, რომელშიც რეკრეაციული ზონებია. სკოლის ეზოს სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის შეხვედრებისთვის, სკოლაში არის, ბიბლიოთეკა, IT ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სკოლა სრულ თავისუფლებას აძლევს მოსწავლეებს, ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით გაკვეთილების შემდეგაც.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლაში არის საგანმანათლებლო რესურსები. სკოლის მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ გრფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. კათედრების მკიერ შეთავაზებული დამატებითი რესურსების ყიდვა არ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

უწევს მშობელს. სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არაა აღჭურვილი შესაბამისი რესურსებით. სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ვირტუალური ლაბორატორისს შეძენაში დახმარების თხოვნით.

სკოლაში მოქმედ ლაბორატორიაში არ არის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი. სახელმძღვანელოებს არ აქვთ მინიჭებული ნომრები. სკოლამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ უკვე შეკვეთილი აქვს ბეჭედი ბიბლიოთეკისთვის და სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის როგორც ინვენტარიზაციას, ასევე მასში არსებული მხატვრული, მეთოდური, პერიოდიკის და სხვა ტიპის რესურსების კლასიფიცირება/დამუშავებას. ამჯერად გაურკვეველია რა ტიპის და რა რაოდენობის ლიტერატურას ფლობს სკოლა. წიგნებზე მითითებული ნომრები არ ემთხვევა სარეგისტრაციო ჟურნალის ნომრებს.

ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით სკოლის ბიბლიოთეკაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და ბიბლიოთეკარი (მუხლი 4 და მუხლი 5) საშტატო განრიგით განსაზღვრულია მხოლოდ ბიბლიოთეკარი.

სკოლაში მუშა მდგომარეობაშია 4 პროექტორი და 16 კომპიუტერი. ამ რესურსებზე წვდომა აქვს ნებისმიერ მასწავლებელს. სკოლა უზრუნველყოფილია შიდა სპორტდარბაზით და გარე სპორტული კოედნით. სკოლის IT ლაბორატორიაში არის კომპიუტერები და სივრცე იმისათვის, რომ იმ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რომელთაც არ აქვთ სახლში ელექტრონული მოწყობილობები, დავალებები სკოლაში შეასრულონ.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომლითაც სკოლის ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებისთვის განსაზღვრულია 31.05.2024

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ლაბორატორიის მუშაობის წესი
- სკოლის გეგმა 1
- სკოლის გეგმა 2
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- ბიბლიოთეკის დებულება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

#### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საკმარისია იმისათვის, რომ როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო პროცესი წარიმართოს სრულფასოვნად. სკოლაში დირექტორს, საქმისმწარმოებელს აქვთ კომპიუტერები, ასევე IT ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით. სკოლაში არის 4 ცალი პროექტორი, რომელიც ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საგაკვეთილო მიზნებისთვის. კომპიუტერებით აღჭურვილია ასევე

სამასწავლებლო, რაც საშუალებას იძლევა დროულადდა უხარვეზოდ იქნას ნაწარმოები ელ. ჟურნალები. სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL. რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლას არ აქვს შემუშავებული რესურსებით სარგებლობის წესი, თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისათვის. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია 3 საათიდან 5 საათამდე ისარგებლოს სკოლის რესურსებით. მათზე ზედამხედველობა უზრუნველყოფილია მორიგე მასწავლებლის მეშვეობით. ასევე სკოლა მშობლებსაც სთავაზობს აღნიშნულ მომსახურეობას. რაც შეეხება პროექტორებს, სკოლაში პრაქტიკაში დანერგილი წესის შესაბამისად მასწავლებელი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია ისარგებლოს პროექტორით ნებისმიერ საკლასო ოთახში.

სკოლას მიეცა რჩევა: ცალკე დოკუმენტად შეიმუშაოს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფოტომასალა
- ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა ელექტრონული რესურსების ჩამონათვლით.

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კორესპონდენციები აღირიცხება დადგენილი წესის შესაბამისად. N1 ენიჭება შემოსულ დოკუმენტაციას, N2 გასულ დოკუმენტაციას, N3 საერთო ბრძანებებს. N4 საკადრო ბრძანებებს და N5 ხელშეკრულებებს. დოკუმენტები ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებთ ვადების დაცვით. განცხადებები მიიღება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისაგან. საქმისწარმოება სკოლაში ორგანიზებული და დამტკიცებულია 2021 წელს. თუმცა მასში არაა ასახული ელექტრონული საქმისწარმოების წესი.

სკოლას იეცა რჩევა: საქმისწარმოების წესში გათვალოსწონებული იქნას ელექტრონული საქმისწარმოების წესებიც

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას eflow, eschool, სკოლა, ასევე, იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას Zhebita@mes.gov.ge . სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს სივრცე eschoo-ში. სსსმ და სოციალურად დაუცველი მმოსწავლეები მონიშნულია ბაზაში. ასევე მონიშნულია ყველა საჭირო ველი თანამშრომლების შემთხვევაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული აქვს ყველა სავალდებულო ინფორმაცია. სკოლას გააქტიურებული აქვს სოციალურად დაუცველის ველი ყველა ამ სტატუსის მქონე მოსწავლისათვის, ასევე, გააქტიურებულია მილტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შშმ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი.სკოლას არ ჰყავს დევნილი მოსწავლე. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ველებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის ელექტრონულ ფოსტას. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022 წლის სასწავლო პროცესის და ფინანსური საქმიანობის მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმის წარმოების წესი;
- ანგარიში 2022
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ოფიციალური ვებ გვერდი და ვიზიტის დროისთვის არც მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი ველი აქვს შევსებული საჭირო დოკუმენტაციით. სკოლას ასევე არ აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. სკოლა ამ ეტაპზე საზოგადოებასთან ურთიერთობისტვის იყენებს facebook გვერდს, რომელსაც აქვს საკომუნიკაციო დატვირთვაც. ასევე სკოლის თანამშრომლები მშობლებთან ურტიერთობისტვის იყენებენ ტელეფონს, მესენჯერს და teams-ის აპლიკაციას.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბერს N 17 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოების ინფორმირების და კომუნიკაციის მექანიზმები. ასევე ამ დროისათვის სკოლას აქვს შევსებული emis-ის მიერ გამოყოფილი სივრცე, სადაც განთავსებულია საჯარო ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის ბრძანება N1კ-15, რომლითაც განსაზღვრულია საინფორმაციო პორტალზე skolebi.emis.ge ინფორმაციის განთავსებასას და განახლებაზე უფლებამოსილი პირი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლაში ინფორმაციის გავრცელების სანდოობაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, იგი სკოლის facebook გვერდზე ავრცელებს მხოლოდ გადამოწმებულ, დირექციასთან შეთანხმებულ ინფორმაციას. ამიტომ სკოლის სახელით გავრცელებული იინფორმაცია ყოველთვის არის ზუსტი, სანდო და უტყუარი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა ითვალისწინებს მშობელთა უკუავშირებს. ცვლილებებს არ გაურბის. ისინი მშობელთა და თემისაგან უკუკავშირებს ძირითადად ირებენ ზეპირსიტყვიერად. მაგალითად ბოლო ასეთი უკუკავშირი იყო მშობელთა ,ხრიდან სკოლაში არსებული სპორტული მოედნის გამოყენებასთან დაკავშირებით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს ნებისმიერ ინიციატივას განიხილავენ და თუ მათ ფიზიკური შსაძლებლობა ექნებათ აუცილებლად შეცვლიან მიდგომას და დამოკიდებულებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას არ აქვს ვებ გვერდი

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა emis-ის მიერ გამოყოფილი სივრცის ბმული, სადაც განთავსებულია საჯარო ინფორმაცია ქართულ ენაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას არ აქვს ვებ გვერდი

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა emis-ის მიერ გამოყოფილი სივრცის ბმული, სადაც შევსებულია ყველა ველი. ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის ბრძანება N1კ-15, რომლითაც განსაზღვრულია საინფორმაციო პორტალზე skolebi.emis.ge ინფორმაციის განთავსებასა და განახლებაზე უფლებამოსილი პირი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც სკოლა ვერ შეძლებს დააფინანსოს სამოქმედო გეგმის განხორციელება. წარმოდგენილი სქემის მიხედვით სხვაობა შემოსავალსა და ხარჯს შორის არის 10748 ლარი წელიწადში. ამის გათვალისწინებით სკოლას საჭიროებს დამატებით დაფინანსებას, რომელსაც უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა ფინანსურ რესურსებს მართავს მიზნობრივად. ელექტრონულ საბანკო სისტემის გამოყენებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. სკოლის ბუღალტრის მიერ შევსებული ფორმები იძლევა მონიტორინგის საშუალებას. სკოლაში არ ჩატარებულია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია. თუმცა სკოლაში ყოველ წელს ტარდება ფინანსური და მატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია. სკოლა შესყიდვების გეგმას ადგენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყოველი წლის 20 ნოემბრამდე და ნებისმიერი გადაუდებელი საჭიროებისას ცვლის მას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.** მოსწავლეთა მხარდაჭერა

**4.1** მოსწავლეთა უფლებების დაცვა

**4.1.1.** მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა დაგაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სსიპ თიანეთის მუნიციპლიტეტის სოფელ ჟებტის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შიგა რეგულაციების მეშვეობით. კერძოდ შინაგანაწესით. სკოლის შინაგანაწესი სხვა თემებთან ერთად მოიცავს წახალისების სახეებსაც. სკოლას არ ჰყავს მანდატური და ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ. იგი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. სკოლასა და მშობელს შოის ვიზიტის დროისთვის არ იყო გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც უკეთ იქნებოდა დაზუსტებული თითოეული მხარის უფლება-მოვალეობა. სამეურვეო საბჭოსა დადისციპლინური კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სკოლის მოსწავლეები, რაც მათ უფლებას უზრუნველყოფს ჩართული იყვნენ სკოლის მართვის პროცესში. სკოლას ჰყავს პარიტეტის დაცვით და დემოკრატუიული პრინციპებით არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა. რომელიც ურუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივებისა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

თუ იდეების გაჟღერებას და ადვოკატირებას სკოლის მართვის ორგანოებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლაში მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანწესი და სხვა საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომის ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ისინი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. ვიზიტის დროს სკოლასი არ იყო დოკუმენტები გამოქვეყნებული ვებ გვერდზე, თუმცა მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლის შენობაში. სკოლაში ასევე გამოკრულია სკოლის მისია, სკოლის სტრუქტურა, დამრიგებლების ვალდებულებებში სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მისწავლეებისთვის შინაგანაწესის გაცნობას. დამრიგებლის საათის ოქმებით დასტურდება, რომ ისინი კლასის საერთო კრებებზე აცნობენ მოსწავლეებს სასკოლო რეგულაციებს. ასევე სასწავლო წლის დასაწყისში და შემდეგ სემესტრების განმავლობაში მოსწავლეებს ეცნობებათ ინფორმაციები 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. ისინი ასევე გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ დაწყებიტი კლასის მოსწავლეებს თავიანთი უფლებების შესახებ ინფორმაცია ეწოდებატ ანიმაციების საშუალებით. საგანზე „მე და საზოგადოება“ და ‘მოქალაქეობა“ კიდევ უფრო სიღრმისეულად სწავლობენ მოსწავლეები თავიანთ უფლებებს სასკოლო რეგულაციებთან შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული არაა ხელშეკრულებები. სკოლამ ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებისთანავე უზრუნველყოფენ ხელშეკრულებების გაფორმებას.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში** წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. რომლებიც კანონის შესაბამისია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლ. განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის დასკვნა
- ისგ 2022-23
- ისგ ოქმები
- ისგ სამოქმედო გეგმა,მონიტორინგის ოქმი, დასკვნა
- მშობ.კრების ოქმი შინაგანაწესის გაცნობა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი#1. შინაგანაწესის დამტკიცება
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ოქმი
- დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლის არცევა
- თვითმმართველობის ინიციატივები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება# 2- 24/14. 11 აგვისტო 2023 წელი დამტკიცებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა, სტატუსის შეჩერება/აღდგენის, შეჩერებული სტატუსის აღდგენის, საფეხურის დაძლევის პროცედურები. სკოლა ხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N04/ნ-ით, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლი განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს, არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. განსაკუთრებული პირობები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით სკოლას არ აქვს. სკოლაში ირიცხება ყველა მოსწავლე ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე, კლასებში მცირე რაოდენობის მოსწავლეა. ყველაზე ეტი 10 მოსწავლე. ამიტომ მოსწავლის ჩარიცხვა რობლემას არ წარმოადგენს. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს ინდ.გეგმების შემუშავების წესი და სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის , მობილობისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო პროცედურას. აღნიშნულის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაგალითები. რამდენიმე მოსწავლეს სტატუსი შეუწყდა ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ წასვლის გამო. პროცედურულად საქმისმწარმოებელი ახორციელებს ინდიკატორტან დაკავშირებულ აქტივბებს, თუმცა კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული პროცესში. ინტერვიუს დროს კლასის დამრიგებლებმა არნიშნეს, რომ მათ მოსწავლეებს 10 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევა არ ჰქონიათ, თუმცა იცნობენ რეგულაციებს და იციან როგორია დადგენილი პროცედურა ასეტის დაფიქსირების შემთხვევაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სკოლას ამეტაპზე არ აქვს წრეები, ფაკულტატური მეცადინეობები. სკოლაში ფუნქციონირებს ორი კლუბი, რომელიც დაარსებულია სკოლის ბაზაზე. მათში მონაწილეობა უფასოა და არც კლუბის ხელმძღვანეები იღებენ ხელფასს. კლუბი არის სპორტული (ბადმინტონი, კალათბურთი) და სამოქალაქო განათლების მიმართულების. მათ შესახებ ინფორმაცია სკოლამ საჯაროდ განათავსა სოციალურ სივრცეში საკუთარ გვერდზე. ასევე სკოლაშ დამრიგებლეის მეშვეობით ყველა მოსწავლემ იცის კლუბების ფუნქციონირების შესახებ. სპორტული კლუბი არწივები წელს საქართველოს ჩემპიონები გახდნენ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს განსხვავებულ პროგრამებსა და სერვისებს. რაც შეეხება აქტივობებს, სკოლას აქვს გამოცდილება რამდენიმე სატემო პროექტის განხორციეებისა. მაგალითად მდინარე იორის კალაპოტის დასუფთავება, ასევე ხეების დარგვა/მოვლა. მათ ირგვლივ ტერიტორიის დასუფთავება. პროექტი მიმდინარეობდა ეგიდით „მე მიყვარს ჩემი ბუნება“ რასიც ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც. პროექტში მონაწილეობის იღება ნებისმიერ ადამიანს შეეძლო. ინფორმაცია განთავსდა სოციალური ქსელებში. ზოგადადაც სკოლის მიერ სკოლის სახელით გავრცელებული ინფორმაცია არის არადისკრიმინაციული და იგი მუდმივად ახლდება. აღნიშნული დასტურდება სკოლის facebook გვერდის ანალიზით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა დაშეწყვეტის მექანიზმები.
- სტატუსის აღდგენისა და სტატუსის შეჩერების ბრძანებები

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;</u>

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 1 აგვისტოს ბრძანება N2- 24/13 ით სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი; დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა და სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმები სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. მოსწავლეს სკოლაში გადმოსვლის შემთხვევაში პირველ რიგში აცნობენ კლასს, ასევე აცნობენ სკოლის კაბინეტების განლაგებას ანუ სკოლის გეოგრაფიას. კლასის დამრიგებელი აცნობს სველ წერტილების განლაგებას, ექიმის სამუშაო სივრცეს, სამასწავლებლოს, სპორტულ დარბაზს. მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს,. შესაძლებელი მოსწავლის კლასთან ადაპტაციის მიზნით შეიცვალოს კლასის საათების თემატიკა. ამ მიართუებით საქმეს აიოლებს ის ფაქტიც, რომ სოფელი ჟებოტა არაა დიდი და თუ ამ სკოლაში ვინმე გადმოვა, აუცილებლად ამავე სოფლის მკვიდრი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

იქნება. ამიტომ ასეთ ბავშვს თანაკლასელებთან და თანასკოლელებთან ადაპტაცია არ უჭირს, რადგან ისინი ხშირად მეზობლები ან ნათესავები არიან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

სკოლა ახალი გარემონტებულია და განსაკუთრებულად ლამაზი გარემოა სკოლის სივრცეში. დამრიგებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რეაბილიტაციის შემდეგ შეიცვალა კლასების განლაგება. სკოლას უკვე შიგა სივრცეში აქვს სველი წერტილები, რომლებიც ადაპტირებულია. კლასის დამრიგებლებმა ახალ სივრცეში გადმოსვლისთანავე გააცნეს მოსწავლეებს სკოლის შიგა სივრცეებში კაინეტებისა და საერთო სარგებლობის სივრცეების განლაგება. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას. ღონისძიებები აქ ტარდება სასკოლო, რადგან კლასში მოსწავლეების სიმცირეა. სასკოლო ღონისძიებები განსაკუთრებულად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინტეგრაციას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლა საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს, რათა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში დაეხმარონ. რისკ ჯგუფებს ადგენენ კლასის დამრიგებლები. შემდეგ ისინი მშობელთან და საგნის მასწავლებელთან ერთად სახავენ გზებს. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური მეცადინებაც. იშვიათად, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა მოსწავლის შედეგები გაუარესდა იმის გამო, რომ მოსწავლე მძიმე სოციალური ფონის გამო იძულებული იყო ფიზიურად დახმარებოდა მშობლებს.

სკოლას აქვს ექსტერნის ფორმით მოსწავლისთვის მიღწევის დონის დაძლევისა, ამ შემთვევაშიც სკოლამ კონსულტაციები გაუწია მოსწავლეს საგამოცდოო საგანშ. სკოლას არ აქვს საშემოდგომო გამოცდები და შესაბამისად მათი მართვის გამოცდილებაც.

წლის მანძილზე საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები თანამშრომლობენ და ახდენენ მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგს. რის შედეგებსაც იყენებენ მომავალი მუშაობის დასაგეგმად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სკოლა მზადაა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს გაუწიოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა. სკოლაში არ დაფიქსირებულა არასოდეს სემესტრული გგამოცდის მოთხოვნის ფაქტი სემესტრული ქულის ამაღლების გამო. ასევე არ აქვთ მოსწავლეებს დისციპლინური სახდელები. სკოლაში არ არის უფლებების დარღვევის მაგალითი. ამიტომ სკოლას მძინე შემთხევევის მართვის გგამოცდილება არ აქვს. სკოლაში შემუშავებული შიდა რეგლაციებით მოსწავლეს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს გაასაცივროს სკოლის მასწავლებლის ნზისმიერი ქმედება. ისინი თავისუფალნი არიან არჩევანში. მათ ეძლევათ შესაძლებლობამონაწილეობა მიიღონ მათ მიმართ სკოლის დისციპლინური დევნიისას დისციპლინური კოიტეტის მუშაობაში. თუმცა არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება და აქტივობა სკოლის გამოცდილებაში არაა. მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით განხორციელდა აქცია: ,,ჩვენ გვიყვვარს ბუნება'', ასევე აქტიურად მუშაობს სკოლის მეორე კლუბი, რომელიც სპორტული მიმართულებისაა. ორივე მაგანს ხელმძღვანელობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლაში ცატარებული ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ სკოლა აგროვებს მონაცემებს საკუთარი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ბოლო ასეთი აქტივობა იყო სამოქალაქო განათლების მიმართუოების კლუბის წევრების გამოკითხვა. როგორც კლუბის ხელმძღვანელმა განმარტა, სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებმა შესავსეს კლუბის მუშაობის შემაჯამებელი კიხვარი, რომელიც რეკომენდაციების ნაწილსაც მოიცავდა. ვიზიტის მომენტში იგი აანალიზებდა შედეგებს და განაცხადა, რომ ანალიზის შედეგებს ასახავდა 2023-24 სასწავლო წლის აქტივობების დაგეგმვისას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოს ადაპტაციის მექანიზმი
- თვითმმართველობის ინიციატივები
- ფოტომასალა

**4.2.2.** სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის პროფესიულიორიენტაციის თემები განსაზღვრულია სადამრიგებლო საათებში. სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ამ მიმართილებით აცნობს მოსწავლეებს რეზიულეს შევსებას ვაკანსიების მიხედვით ასევე მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია უახლოეს უნივერსიტეტებში დაგეგმილი ღია კარის დღეებთან დაკავშირებით. მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია და ეძლევათ საშუა;ება იმსჯელონ თავიანთ სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ასევე მათი ინტერესის სფეროებსა და მისწრაფებებზე. მასწავლებელი მათ ეხმარება უნარების აღმოცენაში. გაკვეთილებზე ხდება როლური ტამაშები სადაც სიმულაციურად ხდება გასაუბრება დამსაქმებელსა და აპლიკანტს შორის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; აცნობს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ, ღია კარის დღეს, საგამოცდო ფორმატის ცვლილებების, ახალ პროგრამების, ასევე, სრულ ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ წინმძრვრიანთკარის პროფესიულ კოლეჯს, სადაც ეცნბიან ახალი პროფესიების შესახებ ინფორმაციებს. იმართება შეხვედრები საჯარო სკოლის შენობაშიც. პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევას მოსწავლეები ახდენენ გაცნობიერებულად. სკოლის გამოოცდილებაა კავკასიის უნივერსიტეტის გრანტის მოგებაც, რის ფარგლებშიც სკოლის მე-10-მე12 კლასის მოსწავლეებს სრულად დაუფინანსდათ პროფესიული ორიენტაციის პროგრამა - პლათფორმა prof. orient. Edu.ge- პროფესიული ორიენტაციის კურსის საფასური, რომელიც ერთ მოსწავლეზე შეადგენდა 120 ლარს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ ისინი დასახულ მიზნებს. სკოლა აპირებს ასეთი გამოკითხვა ჩაატაროს მიმდინარე სასწავლო წელსაც რის შედეგებსაც გაითვალისწინებენ მომავალ მუშაობაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს შედეგები.
- სასკოლო პროექტები.
- საგრანტო სერტიფიკატი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია გასახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. სკოლას ამ დრომდე არ ჰქონია მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსურიდავალებები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში თითოეული მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ. გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას ჰყავს ერთი სპეცმასწავლებელი, რომელიც უფროსის სტატუსისაა. სკოლას არ აქვს რესურსოთახი, თუმცა აქვს შესაბამისი რესურსები. სკოლის სამი სსსმ მოსწავლე, რომლებიც შეფასებულია მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომსახურებას იღებენ სკოლის IT ლაბორატორიაში, მათთვის განკუთვნილ ერთ კუთხეში. ინტერვიუს დროს დაისვა შეკითხვა, თუ სად განათავსებს სკოლა მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, როდესაც კომპიუტერული ლაბორატორიაში გაკვეთილია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სპეცმასწავლებელს ასეთ დროს სსსმ მოსწავლები გადაჰყავს სკოლის ბიბლიოტეკაში. წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. ინდ. გეგმები შემუშავებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობასა და უნარებზე. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. ასე მაგალითად, ერთ ერთ მოსწავლეს მულტიდისციპლინურმა გუნდამა განუსაზღვრა ფსიქოლოგის მოსახურება. რადგან სკოლამ ვერ შეძლო ფსიქოლოგის დასაქმება ვაკანსიით კადრის არ არსებობის გამო, ამიტომ გადაწყვტა და გადაამისამართა მანდატურებთან არსბულ ფსიქო ცოციალური მომსახურეობის ცენტრში. ამით მოსწავლემ მიიღო ფსიქოლოგის მომსახურეობა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც რესურსოთახის მოწყობისათვის ვადა განსაზღვრულია ერთი წლით. კერძოდ 18.09.2024

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

დადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები.

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.** სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლას ამ ეტაპზე აქვს მხოლოდ ტრანსპორტირების სერვისი. მის მოსწავლეებს ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლას ამ დროისთვის აქვს მხოლოდ ტრანსპორტით მომსახურეობა. რომელიც ხორციელდება მომსახურეობის მიმღებთან შეთანხმებული წესით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3.** შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ტრანსპორტით მმსახურეობა ხორიელდება კანონით დადგენილი უფლების მოპოვების შემდეგ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- ინტერვიუს შედეგები;
- მძღოლის ტაბელი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II.

2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

# სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

## 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ მათგან რჩევებსა და რეკომენდაციებს. მსჯელობენ და აწყობენ განიხილვას როგორც კათედრაზე, ასევე სხვა კათედრების ჩართულობითაც. უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის. მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთანაც, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნათლად არ ჩანს კურიკულუმის შემუშავების პროცესი, დიზაინი, ვის რა ფუნქცია აქვს, როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება, რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები, მისი რეალიზების დრო და სივრცე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგებს აქვთ მზაობა და გეგმავენ, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგენონ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები და ასახონ კურიკულუმში. გარდა ამისა, მასწავლებელებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესებისა და საკითხთა სპექტრის მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა. ინტერვიუსას მათ ისაუბრეს მშობელთა ბარათებისა და კოლეგების უკუკავშირის მიზნობრიობის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ასევე, განაცხადეს რომ მუდმივად ხდება სასწავლო პროცესის ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. დაწყებით საფეხურზე მაწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, განიხილავენ დადებითი და უარყოფითი შედეგების მიზეზებს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს. შესაბამისად, ხდება მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული კურიკულიმების შემუშავება, რომელიც ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, კათედრების მიერ მომზადებულ წლიურ ანალიზსა და ურთიერთანაშრომლობის შედეგად გამოკვეთილ მიგნებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მისია და ხედვა, სადაც სკოლის პრიორიტეტებია აღწერილი. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებშიც მოცემულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. საკითხები დაყოფილია თემატურად. თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლა მისია-ხედვა-ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.
კურიკულმზე მუშაობის პროცესში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს წინა წლის გამოცდილებას, მოსწავლეთა შედეგებსა და ინტერესებს, არსებულ გამოწვევებს, მშობელთან შეხვედრებზე გამოვლენილ საჭიროებებს და ირჩევენ შესაბამის კომპლექსური ბუნების დავალებებსა და აქტივობებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ მასწავლებელთა მიერ შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები.
მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება ასევე დასტურდება სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებებითა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტებში ნათლად არ ჩანს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. შესაბამისად, სკოლაში კურიკულუმების შექმნა ხორციელდება თანამშრომლობის შედეგად, მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებებისა და მათი შედეგების გათვალისწინებით. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურად ერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც. მათ აქვთ ხშირი კომუნიკაცია პედაგოდებთან. ერთობლივად განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რასაც მასწავლებლები ასახავენ კურიკულუმში - არჩევენ შესაბამის კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს და აქტივობებს.
ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელთა განმარტებით, საგნობრივი კურიკულუმები შემუშავდა გუნდურად, პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობით, გასული წლის ანალიზის და მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინებით. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები აკვირდებიან სხვადასხვა კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესს, მოსწავლეთა ჩართულობას, მათ შედეგებს; კათედრაზე უზიარებენ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებასა და მოსაზრებებს კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებულ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია გასულ

სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებზე მუშაობაც ეფექტიანი აღმოჩნდა და დამატებულია ახალი კომპლექსური დავალებებიც.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობას ისინი მოიაზრებენ როგორც ციკლურ პროცესს და მასში ჩართულობა მათთვის გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. მათ გააზრებული აქვთ, რომ კათედრის წევრებს, ისევე როგორც სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს, აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დაწყებით საფეხურზე კათედრების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების პროექტები პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებამდე თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან. კურიკულუმების ჩარჩო ეგზავნება ასევე დაინტერესებულ მხარეებს. კათედრები იღებენ უკუკავშირს, რომელის გათვალისწინებითაც ხდება მისი დამტკიცება.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოყენებული საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა სკოლის ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. კურიკულუმების გაზიარება მშობლებთან ხდება მშობელთა კრებებზე. გარდა ამისა, სკოლაში აქვთ მშობლის ბარათების გამოყენების პრაქტიკა. ასევე აქტიურად იყენებენ სკოლაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებსაც.

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. სკოლა იყენებს ყველა საშუალებას იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა. ამისათვის კი აუცილებელია ინფორმირება, უკუკავშირი და პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში.

სპორტის კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შექმნილ კურიკულუმებს აქტიურად იზიარებს სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით: იქნება ეს ფესტივალები, მოძრავი თამაშები მძლეოსნობის ტექნიკური ელემენტების გამოყენებით თუ სხვა, რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას უკვე აქვს ემისის მიერ გამოყოფილი ინტერნეტ სივრცე. შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას დამატებით აღნიშნული საშუალებითაც მიეწოდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება.

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კათედრების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, თითოეული კლასის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მაგალითად, პერსონაჟის დახატვა/გამოძერწვით მასწავლებელი ცდილობს დაამუშავებინოს მოსწავლეებს სამიზნე ცნება ტექსტი და ამით გავიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებულ V-VI კლასის კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. შესაბამისად არც რესურსებია შერჩეული თემების მიხედვით. თუმცა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დაბალებების შერჩევა აღნიშნული კლასებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ასევე, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც როგორც პირველი, ასევე მეორე უცხოური ენების კურიკულუმში. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე, ინგლისურ ენაში, I-II კლასებში ნაცვლად 3 ცნებისა, მითითებულია 4 ცნება და ცალკეულ შემთხვევებში (მაგ. მე-6 კლასის მე-4 თავში) თემის ფარგლებში არ ხდება საფეხურის ყველა ცნების დამუშავება. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ ჩარჩოში ასახონ საფეხურის ბოლოს დასაფარი ცნებები და წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დაამუშაონ საფეხურის ყველა ცნება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, უცხოური ენის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. მათ აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კათედრის წევრებს კურიკულუმი გააზრებული აქვს, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ მუსიკის კურიკულუმებში დასახვეწია კონტექსტ მაგალითების ნაწილი და მისათითებელია გრიფირებული სახლმძღვანელოები და რესურსები შესაბამისი ბმულებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ გეგმავენ კურიკულუმების სათანადო რესურსებით გამდიდრებას. მათ მკაფიოდ და კონკრეტული მაგალითების საშუალებით ისაუბრეს, როგორ შეიძლება მათ მიერ დაგეგმილმა კომპლექსურმა დავალებებმა და სავარაუდო საეტაპო აქტივობებმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა განვითარებას. სკოლას მიეცა რჩევა: მუსიკის კურიკულუმებში დაიხვეწოს კონტექსტმაგალითების ნაწილი, მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოები და რესურსები შესაბამისი ბმულებით.

ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილი თითოეულ კურიკულუმში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემა. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეებს ეძლევათ სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება.

დასკვნის სახით ითქვას, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება. ასევე აკეთებს რეფლექსიას რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად და რას შეცვლიდა სამომავლოდ.
დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. თითოეულ კლასში წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალება მაინც, რომლის დამუშავებაც გულისხმობს ამა თუ იმ გრძელვადიანი მიზნის გააქტიურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები, ქვეცნებები და სასწავლო თემები მიზნობრივად არის შერჩეული და შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, ქართული ენასა და ლიტერატურაში, მესამე კლასში მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებაზე მუშაობას: იაკობ გოგებაშვილის „ჭკვიანი ძაღლების" მიხედვით ამბის შეთხზვა რთული სიტყვების გამოყენებით. ამ დავალებით მასწავლებელი ააქტიურებს სამივე სამიზნე ცნებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში ხორციელდება პროექტები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები.
უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ საკითხები შერჩეულია თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. მოცემულია თითოეული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები, შერჩეულია კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები. თუმცა, იკვეთება მცირე უზუსტობებიც. მაგალითად, ორივე უცხოურ ენაში, რიგ შემთხვევებში, თემის ფარგლებში არ მუშავდება ცნება „კულტურათა დიალოგი". ამის მიუხედავად, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იკვეთება, რომ სკოლის მზაობა და გრძელვადიანი მიზნები კორელაციაშია დანერგვის ინსტრუმენტებთან(დაგეგმვა,შეფასება). შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმასა და დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. ვინაიდან თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით, მასწავლებლები სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები.

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში. მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს. ასევე, სთავაზობენ სავალდებულო და არჩევითი ხასიათის დავალებებს, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვას სასწავლო პროცესებში. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ლიდერ მასწავლებელთა ტრენინგებზე შეძენილ ცოდნას აქტიურად ნერგავენ საკუთარ სასწავლო პრაქტიკაში.

ინტერვიურებისას დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა ისაუბრეს სასწავლო გარემოს მოქნილობაზე, სასწავლო პროცესის სწავლის და არა სწავლების პარადიგმაზე დაგეგმვაზე, მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე და შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულებაზე. ასევე გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ბუნება და შერჩეული პროდუქტის მრავალფეროვნება აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწალის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება. (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა).

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია უცხოური ენების ინდ. გეგმის ნიმუში, თუმცა აღინიშნება ხარვეზები. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა. შეიმუშაონ ინდ.გეგმები, რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებზე და მათი წარმოებისას გამოკვეთონ ყველა კომპონენტი, რაც ასახულია ინდივიდუალური გეგმის განახლებულ ვერსიაში.

გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს ადაპტირებული კომპლექსური დავალებებიც, რომლებიც მომზადებულია არა მხოლოდ სსსმ მოსწავლეების, არამედ ნებისმიერი მოსწავლისათვის, რომლებიც საჭიროებენ დავალების ადაპტირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კათედრების მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ იქნა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით. აღნიშნული ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუს დროსაც.

დაწყებითი საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია I-IV კლასებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. I და II კლასებში წარმოდგენილ რუბრიკებში კარგად არის ჩამოყალიბებული შუალედური მიზნების მიღწევის ინდიკატორები, III და IV კლასების რუბრიკებში ინდიკატორები კომპლექსური დავალებების კითხვის სახითაა ჩამოყალიბებული და ნათლად არ აჩვენებს თუ რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს და სტანდარტის რომელ შედეგებზე გადის. საჭიროა რომ რუბრიკები უფრო მკაფიო კავშირში იყოს სტანდარტის თემატური ერთეულის ფარგლებში შექმნილ ინდიკატრებთან, რადგან მოსწავლის მიღწევები გაიზომოს სტადარტის შედეგების ფლობის მიხედვით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში უნდა ჩაიწეროს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და მათი შესაბამისი მიღწევის ინდიკატორები თემის მიხედვით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა მუშაობს ასეთი რუბრიკების შექმნასა და არსებულის დახვეწაზე. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ განმავითარე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ბელ რუბრიკებში შეიტანენ ცვლილებებს და შექმნიან V-VI კლასებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასბეის რუბრიკებს.
უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა რუსული ენის მე-5 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში, სადაც შეინიშნება ხარვეზები. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, წარმოადგინონ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და განმსაზღვრელი კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი, რის მზაობასაც გამოთქვამენ სკოლის მასწავლებლები.
გარდა ამისა, სკოლას მიეცა რჩევა: ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე დაყრდნობით შეიმუშავონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა თემისთვის.
ინტერვიუს დროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ვრცლად ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. კერძოდ, ამ პროცესის უზრუნველსაყოფად, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებას და ანალიზს. ასევე, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიის შედეგებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.
დაწყებით საფეხურზე სკოლა ეყრდნობა ჯიპრაიდის ტესტებს, რომლებსაც იყენებს დიაგნოსტირებისათვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათემატიკასა და ქართულში ატარებენ ასეთ ტესტირებებს, რის საფუძველზეც გეგმავენ შემდგომ პროცესებს.
მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტით, კომპლექსურ დავალებებზე დაკვირვებით ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა და აღიწერება ისინი სათანადო მაგალითებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ ეს ინსტრუმენტი გამოყენონ წელიწადში არა ერთხელ, არამედ ორჯერ ან სამჯერ .
დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათდრის წევრებთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა,სასწავლო პროექტები. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უცხოურ ენაში
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ხელოვნება, მუსიკა);
- შეფასების რუბრიკები (ხელოვნება მუსია)
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ხელოვნება, მუსიკა);
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები (ხელოვნება, მუსიკა).
- დიაგნოსტიკური ტესტები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. დავალების შესრულებისას მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა დაგეგმოს სწავლების პროცესი, დააკვირდეს საკუთარ თავს. გაეცნოს ახალ ინფორმაციას, დაამუშავოს და განიხილოს სხვადასხვა კონტექსტში, გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით, პრეზენტაციის თუ დისკუსიის სახით. მაგ. უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია შუალედური მიზნები: ინგლისური ენა, 6 კლ. - პრეზენტაცია თემაზე „ ჩემი საოცნებო სახლი“, რუსული ენა, 5 კლ.- ზეპირი პრეზენტაცია ილუსტრაციაზე დაყრდნობით თემაზე „ჩემი საყვარელი წელიწადის დრო”. დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში.

მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის I-VI კლასის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები. დაწყებით საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები - (მოძრავი თამაშები მძოსნობის ტექნიკური ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებული არიან მშობლები - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს. თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები. მაგალითად, სასკოლო პროექტი “დავიცვთ ჩვენი ბუნება”, რომელშიც ჩართული იყო ყველა საგნობრივი კათედრა და სრულად სასკოლო თემი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს და გამოფინიეს თემატური ნამუშევრები. სკოლას აქვს ასევე სკოლებს შორის პროექტების განხორცილების გამოცდილებაც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენას იძლევა, რომ დაგეგმილი და დაწერილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, რომელიც მეტად დაეხმარება მოსწავლეებს კეთებით სწავლებაში, კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. თუმცა, მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეები პედაგოგების დახმარებით, საკუთარი ხელით ამზადებენ მარტივ რესურსებს. ხშირად გაკვეთილი ღია ცის ქვეშ იმართება, რაც იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეები დააკვირდნენ ბუნების მოვლენებს, გაიაზრონ პროცესები, მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება და მოიძიონ პრობლემების გადაწყვეტის გზები. წარმოდგენილი დავალებების მიხედვით, პროცესში მოსწავლე ხდება აქტიური და მოტივირებული.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი უნარები. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით.
შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება, რაც მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული. ამასთან, მასწავლებლები წინარე ცოდნის გათვალისწინებით იაზრებენ იმასაც, მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.
მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგელი აქვს კომპლექსური დავალების შესაბამისი ბარათი და მატრიცა, სადაც ნაბიჯ ნაბიჯ აარის ნაჩვენები კომპლექსური დავლების განხორციელების ეტაპები, სადაც პირველი ნაბიჯი არის წინარე ცოდნის გააქტიურება, რასაც შემდეგ დააშენებენ ახალ მასალას. კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნული ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში. სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.
დაწყებით საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან, დავალების ბარათებიდან და შესაბამისი მატრიცებიდან გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის შეძენაზე, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები აკვირდებიან სწავლის პროცესს და ახდენენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

თვითრეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. საბოლოო პროდუქტის გასიტყვებისას მოსწავლეს საუბარი უწევს ასევე იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეარჩია ესა თუ ის სტრატეგია დასახული მიზნის მისაღწევად, რამდენად კარგად შეასრულა დავალება, რა ხარვეზი იყო და რა არის გასაუმჯობესებელი და რას შეცვლიდა უკეთესი შედეგის მისაღებად. შესაბამისად, მოსწავლეს სისტემატურად უწევს მიზნების, შედეგების და მიღებული გამოცდილების ანალიზი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ადასტურებს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტირებას, რაც განაპირობებს მოსწავლის პიროვნულ ზრდას და უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას.

სპორტის კათედრასთან შეხვედრისას ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. სასწავლო პროცესში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს ასევე კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. მაგალითად, ხელოვნების VI კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება "ფერწერის ტექნიკის გამოყენებით შექმენი იმპრესიონისტული/პოსტიმპრესიონისტული ნამუშევარი პორტრეტის/ავტოპორტრეტის და ყოფით ჟანრში და გადმოეცი საკუთარი ემოციები, შთაბეჭდილებები", მუსიკის III კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - "შექმენით მუსიკალური მარშრუტი მოცემული ფრაგმენტების მიხედვით და გააკეთე პრეზენტაცია". კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, განახორციელოს კონკრეტულ აქტივობები და ბოლოს შეძენილ ცოდნას იყენებს, საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების პირობები ისეა აგებული, რომ მრავალფეროვანი მიმდინარე საკლასო აქტივობები და სასწავლო რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ბუნებისმეტყველების შესასწავლი საკითხები იძლევა ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. მაგ. V კლასის თემაში - ეკოსისტემა, განიხილება ცოცხალი ორგანიზმების და საარსებო გარემოს ურთიერთმიმართებები.

გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები, პროექტული სწავლების მეთოდები, რომლებიც კომპლექსური დავალებების იდეებშია ასახული, ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. შესაბამისად, გულისხმობს მოსწავლის კომპეტენტური უნარების გააქტიურებას, გამოცდილების მობილიზებას და ერთმანეთთან დაკავშირებას. მასწავლებელთა მხრიდან, იკვეთება მზაობა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ იქნას გრძელვადიანი მიზნები, რომელიც აუცილებლად მიიღწევა სწორად შესრულებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების შედეგად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები დაგეგმილია ისე, რომ შესაძლებელი იყოს სხვასხვა საგნების ინტეგრირება, რაც ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასის მასწავლებლებს აქვთ საჭირო გამოცდილება და ამავდროულად, გამოხატავენ მზაობას, დანერგონ კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოახდინონ მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- თემატური გეგმები;
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების ბარათები, თემატური მატრიცა (მათემატიკა);
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში;
- სასკოლო პროექტი " დავიცვათ ჩვენი ბუნება";
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მყარი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთთანაა დაკავშირებული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალების პირობები. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით. მაგალითად, სახელმწიფო ენის კათედრას მეხუთე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვს დავალება: აკაკი წერეთლის ზღაპრის პერსონაჟის (მესარკის) წარმოსახვითი წერილი მეორე პერსონაჟის (ხელმწიფის) მიმართ, ტექსტის შინაარსობრივი მხარისა და მინიშნებების გათვალისწინებით. აღნიშნული დავალებით აქტიურდება დაწყებითი საფეხურის სამივე სამიზნე ცნება კონკრეტული ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით. უნდა აღინიიშნოს ისაც, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრას აქ აქვს მითითებული ქვეცნებები, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის იმის ნათლად წარმოდგენას, თუ რომელი ქვესაკითხების დამუშავებით გეგმავს მასწავლებელი მოსწავლეების ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვანას დავალების განხორციელებამდე. მასწავლებელთა ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სასწავლო პროცესის მიზნობრივად წარმართვის მზაობა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმებში მიუთითონ ქვეცნებებიც.
ასევე, მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ I-IV კლასის კურიკულუმებში, ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნების ქვეცნებები დასაზუსტებელია. ასევე V-VI კლასების კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება. თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას კათედრის წევრებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ და შეავსებენ ყველა ხარვეზსს.
უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია მკაფიო კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ცნებების და ქვეცნებების ჩამონათვალი არასრულყოფილია. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული, რომ სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება. საერთო შეფასებით, კათედრაზე შემუშავებული შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. გარდა ამისა, დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელ რუბრიკებზე დაყრდნობით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ტაქსონომიას და დააკონკრეტონ მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ამას გარდა, გამოიკვეთა, რომ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებაც მოხდება შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის კათედრამ შეარჩია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, სადაც კომპლექსურ დავალებებზე დაკვირვებით ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა და სათანადო მაგალითებით აღწერა.
დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ მუსიკის კურიკულუმებს არ ახლავს რესურსები და დასახვეწია კონტექსტ-მაგალითები, თუმცა, ინტერვიუს დროს ნათლად ჩანდა, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ კურიკულუმების სრულყოფისათვის შესაბამისი გამოცდილება. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ცნებების მიხედვით თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხისა და ქვესაკითხებთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ისინი კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, გააზრებული აქვს კურიკულუმის არსი და შექმნის პრინციპი. სკოლას მიეცა რჩევა: მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმებში დაიხვეწოს კონტექსტ-მაგალითები, მუსიკის კომპლექსური დავალებები გაიწეროს სრულყოფილად, მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოები და მრავალფეროვანი რესურსები შესაბამისი ბმულებით.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ დაწყებით საფეხურზე გარკვეულ საგნებში შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, ეწყობა საგანამანათლებლო ექსკურსიები, ტარდება კლასის საათები და ა.შ.
მოსწავლეთა ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, საინტერესო და მრავალფეროვანი დავალებების შერჩევით მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
დაწყებით საფეხურის დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები და შეძლოს გუნდური მუშაობა. ამასთან, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“, არამედ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.
დაწყებით საფეხურზე სპორტის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ზოგად განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსს, სპეციალურ ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღი წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტი, ჯანსაღი ცხოვრების წესის თემატიკიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების მიზნით საგნობრივი კათედრები იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ისინი ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან. ასევე, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. ამგვარი პოზიცია მათ აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში და სკოლის მიერ შერჩეულ სადიაგნოსტიკო თუ განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებში იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრებზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.
სპორტის კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამოიყენება მიზანმიმართულად. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.
წარმოდგენილი დოკუმენტციის შესწავლითა და მასწავლებელბთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე ითქვა, რომ მომზადდება კიდევ რუბრიკებიც, რომლებსაც ასევე გააცნობენ მოსწავლეებს. თუმცა, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, დაგეგმოს დამატებით აქტივობები და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის ამ საქმიანობაში ჩართოს მოსწავლეებიც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სკოლის მიერ შერჩეულ სადიაგნოსტიკო ინტრუმენტში თუ განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებში ასახულია ის საკვანძო საკითხები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემურ ხედვას. ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება ბუნდოვანება შეფასების ინსტრუმენტების წარმოებასთან დაკავშირებით. მაგ. უცხოური ენების კათედრა აპირებს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოებას წელიწადში ერთხელ, რაზეც მათ მიეცათ რჩევა, რომ ამ ინსტრუმენტის წარმოება მოახდინონ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. ამასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ და განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, ისინი აპირებენ პორტფოლიოებისა და დღიურების წარმოებას, საკუთარი მუშაობის რეფლექსიას და პროცესის მონიტორინგს.
დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ რუბრიკებს ქმნიან კათედრათა შორის თანამშრომლობით, წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. კათედრები ახალი სასწავლო წლისთვის კვლავ გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემატური ერთეულისთვის.
წარმოდგენილი დოკუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრები ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს ჯიპრაიდის ტესტები.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტურად განხორციელებისათვის სკოლას დიდი დრო და რესურსი დასჭირდება. საჭიროა მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების შეფასების ცოდნა, რაშიც პირველ ნაბიჯებს აშკარად დგამს სკოლა. წარმოდგენილ მასალაში არაფორმალური განათლების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში და შემაჯამებელი დავალებების ანალიზში ჩანს ეფექტური შეფასება, რომელიც მოიცავს არა მარტო სტანდარტის შედეგებს, არამედ გამჭოლი პრიორიტეტების, კომპეტენტური უნარების შეფასებასაც.
სკოლა აპირებს აქტიურად იმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნაზე. დამატებით, უცხოური ენების კათედრის წევრები აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ შეფასების დოკუმენტაცია სასწავლო წლის ბოლოს გადაეცემა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. მას ასევე აქვს დაარქივების ფუნქციონალი. თუმცა, ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა სკოლამ განახორციელოს შეფასების სტატისტიკის ანალიზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ელექტრონულ ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- შემაჯამებლების ანალიზი
- თვითშეფასების კითხვარი
- მათემატიკის და ტექნოლოგიების კათედრის ჟურნალი
- უცხოური ენების კათედრის ოქმი
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. კერძოდ, თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალებები, რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა დაკვირვების შედეგად განსაზღვრონ მათი ინტერესები და შესაძლებლობები. ამავე მიზანს ემსახურებს სსსმ მოსწავლეთათვის შექმნილი ისგ ჯგუფები და შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ისე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.

სკოლაში რომ საკმაოდ მაღალია ურთიერთანამშრომლობითი გარემო, ამას მოწმობს ურთიერთდასწრების მექანიზმის არსებობაც. თანამშრომლობითი გარემო ვლინდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე კათედრებს შორისაც. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გაკვეთილზე დაკვირვების პროცესში არსებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით მუშაობენ სასწავლო კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. პედაგოგები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მათ ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.

მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება, ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებელთა ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლაში შეინიშნებოდა პოზიტიური, თანამშრომლობითი, კეთილგანწყობილი, პროფესიული გარემოს არსებობა. კათედრები გუნდური მუშაობის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, ერთად გეგმავენ და განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს.მასწავლებლები ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულუნ განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები. ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათ პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. მათ აღნიშნეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. ასევე გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებელთათვის მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი.

ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები,

ასევე კომპლექსური დავალებები. მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად არის ჩამოყალიბებული. სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, ახდენენ სასწავლო პროცესის ანალიზს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ყოველივე ეს მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმონ აქტივობები მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც სხვადასხვა საშუალებებით გამოიხატება. მაგალითად, აქვთ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების (კრიტიკული მეგობარი), გამოცდილების გაზიარებისა და უკუკავშირის პრაქტიკა. ასევე, აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება, რასაც სამომავლოდაც გამოიყენებენ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში შექმნილი აქვთ ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდაჭერის ჯგუფიც.

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, სხვასასხვა სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და მასალები, მომავალი წლისათვის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების სქემები, კრიტიკული მეგობრის გამოცდილებები. თითოეული მათგანი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი ჩართულობის შედეგია და თითოეული მათგანის მიზანი, სწავლის ხარისხის გაზრდა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნაა.

სკოლაში ვიზიტითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას. სასწავლო პროცესში თანაბრად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას დაწყებითი საფეხურზე . შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. პოზიტიური სასკოლო კლიმატი უზრუნველყოფილია სკოლისა და კლასის დონეზე და მოიცავს სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მაღალია ურთიერთპატივისცემა და ნდობის ხარისხი. თითოეული წევრი სკოლისა და კლასის დონეზე გრძნობს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სკოლის განვითარებაზე.

სკოლაში მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. ამაზეა ორიენტირებული სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემებიც, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები არიან თანასწორნი. სკოლას ჰყავს ნიჭიერი და შეზღუდული შესაძლებლობების, ასევე სოციალურ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითხვარი;
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები;
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და რევიზიის ინსტრუმენტები. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი და დაგეგმილი აქტივობების შედეგის შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგის გაანალიზება და რეკომენდაციები დაეხმარება მათ ახალი კურიკულუმების შემუშავების პროცესში და შედეგების გაუმჯობესებაში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება სასკოლო საზოგადოების მზაობა, პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასწავლებლები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად.
სკოლაში მოქმედებს ასევე ხარისხის ჯგუფი და მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, რაც იძლევა დაკვირვების საშუალებას, თუ რამდენად შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს დაწყებით საფეხურზე გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. ერობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს, რაც შესაბამისად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. იკვეთება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი.
მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში აქვთ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის საშუალებითაც ხდება უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. მასწავლებლისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, ანალიზდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ეძლევათ სიტყვიერი უკუკავშირი,სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნისათვის. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.
გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრის თითიეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს. კათედრის ხელმძღვანელი კი თავის მხრივ ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. შესაბამისად, აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. სკოლა გამოხატავს მზაობას, მომავალში, მონიტორინგითა და შეფასებით უფრო ეფექტურად უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრები გეგმავენ წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატური გეგმის განვითარების საფუძველზე.
მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით იკვლევენ მათი გადაჭრის გზებს. შესაბამისად, იკვეთება სკოლის მზაობა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება.
სკოლაში ასევე არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა. მიღებული უკუკავშირი უზრუნველყოფს პრობლემის დანახვას, ჰოლისტურ შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.
სკოლის მიერ გააზრებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება, როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, აუცილებელი და საჭირო პროცესია, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის საშუალებას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სასწავლო პროცესის მონიტორინგი, უზრუნველყოფს ჰოლისტურ შეფასებას. შეფასების რუბრიკები მიემართება სამიზნე ცნებებს და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგები აპირებენ მოსწავლეთა შესაფასებლად პორტფოლიოების წარმოებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, თვალი ადევნონ მოსწავლეთა პროგრესს.
მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.
ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც წარმოაჩენს მოსწავლის დადებით მხარეს. აღნიშნული სტრატეგია უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.
სასკოლო საზოგადოებას აქვს სწორი ხედვა, რომ შეფასება იყოს ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება მოახდინონ სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლბთან ჩატარებული ინტერვიუთი ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და აღნიშნულის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესების დროს, ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ შეფასების პროცესებს მასწავლებლები აკავშირებენ მოსწავლის ინტერესთა სფეროებთან. დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებზე და მათ შესაძლებლობებზეა გათვლილი, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის პროგრესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. რაც შეეხება მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევას, მათი თვასაზრისით, ამ პროცესის მიზანია, შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, რაც აუცილებლად კონტექსტსაც ითვალსიწინებს. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სწორი ხედვა და მზაობა, შეფასება განაცორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით სკოლა ახორციელებს ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს. შეფასების მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, მასწავლებელი, დირექცია, სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები არჩევენ შესაბამის მეთოდებს და სტრატეგიებს. ინფორმაციის შეგროვება ხდება: გამოკითხის, ინტერვიუს, დაკვირვებისა და სხვა შესაბამისი მეთოდების მეშვეობით. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის მოსაპოვებლად. აღნიშნულ პროცესში აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია თუ როგორ ხორციელდება სასწავლო სასკოლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი იყენებენ კვლევებს, ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ექსპერიმენტს, მეორად კვლევებს და სხვა.
სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) და მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდაც გეგმავს სადიაგნოსტიკო ტესტირებების განხორციელებას. ამასთან, გამოხატავებ მზაობას მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის ეფექტურად საწარმოებლად. მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც. გარდა ამისა, ითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, როგორებიცაა - სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები და სასკოლო მზაობა და ა.შ.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეზე მულტიფაქტორული მიდგომა: მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

სკოლაში აქვთ საუკეთესო გამოცდილება მოსწავლეთა სხვადასხვა საგნობრივ თუ სოციალურ პროექტში ჩართვის, რაც მოსწავლეთა კოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს და გარკვეულ გავლენას მოახდენს შეფასების პროცესებზეც.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიც არის მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, ფსიქო-ემოციური მდგომარება და სხვ. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

- შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი ოქმი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- დაპტრებული კომპლექსური დავალებები.
- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. *იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;*

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მექანიზმები, რაც გულისხმობს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას კურიკულუმის განვითარების მიზნით, რაც სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესშიც.

მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს რამდენად მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. საგნობრივი კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შესაბამის ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებსა და რჩევებს. წარმატებული აქტივობები გაზიარულია და გამოყენებებულია მასწავლებელთა მიერ საგაკვეთილო პროცესის უკეთ ჩატარების პრაქტიკის დანერგვისათვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები. ისინი ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ზემოთ აღნიშნული ყველა აქტივობა ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. *კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.*

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც.
მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები წინა წლის კურიკულუმის გადამუშავების შედეგად შექმნეს და ის გამოცდილებები გაითვალისწინეს, რაც მონიტორინგის დროს გამოიკვეთა. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები, შეფასების რუბრიკები, კათედრის სხდომის ოქმები, განვითარების სტრატეგიული გეგმა და კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.
შესაბამისად იკვეთება, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრებზე განხორციელებული აქტივობების, განხილვა, მსჯელობა მათ ეფექტიანობაზე და მონაცემების შეჯერების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. სკოლას ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კურიკულუმის დანერგვისა და მოდიფიცირების პროცესები, თუმცა, უნდა აღინიშნოს მათი მზაობა ამ მიმართულებით.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- თემატური გეგმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითვარი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I.

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ მათგან რჩევებსა და რეკომენდაციებს. მსჯელობენ და აწყობენ განიხილვას როგორც კათედრებზე, ასევე სხვა კათედრების ჩართულობითაც. უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის. მასწავლებლებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთანაც, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნათლად არ ჩანს კურიკულუმის შემუშავების პროცესი, დიზაინი, ვის რა ფუნქცია აქვს, როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება, რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები, მისი რეალიზების დრო და სივრცე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგებს აქვთ მზაობა და გეგმავენ, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგენონ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები და ასახონ კურიკულუმში. გარდა ამისა, მასწავლებელებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესებისა და საკითხთა სპექტრის მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა. ინტერვიუსას მათ ისაუბრეს მშობელთა ბარათებისა და კოლეგების უკუკავშირის მიზნობრიობის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ასევე, განაცხადეს რომ მუდმივად ხდება სასწავლო პროცესის ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. საბაზო საფეხურზე მაწავლებლები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, განიხილავენ დადებითი და უარყოფითი შედეგების მიზეზებს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს. შესაბამისად, ხდება მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული კურიკულიმების შემუშავება, რომელიც ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, კათედრების მიერ მომზადებულ წლიურ ანალიზსა და ურთიერთანაშრომლობის შედეგად გამოკვეთილ მიგნებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მისია და ხედვა, სადაც სკოლის პრიორიტეტებია აღწერილი. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებშიც მოცემულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. საკითხები დაყოფილია თემატურად. თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლა მისია-ხედვა-ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.
კურიკულმზე მუშაობის პროცესში საბაზო საფეხურის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს წინა წლის გამოცდილებას, მოსწავლეთა შედეგებსა და ინტერესებს, არსებულ გამოწვევებს, მშობელთან შეხვედრებზე გამოვლენილ საჭიროებებს და ირჩევენ შესაბამის კომპლექსური ბუნების დავალებებსა და აქტივობებს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ მასწავლებელთა მიერ შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები.
მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტებში ნათლად არ ჩანს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. შესაბამისად, სკოლაში კურიკულუმების შექმნა ხორციელდება თანამშრომლობის შედეგად, მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებებისა და მათი შედეგების გათვალისწინებით. ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რასაც მასწავლებლები ასახავენ კურიკულუმში - არჩევენ შესაბამის კომპლექსურ დავალებებს, რესურსებსა და აქტივობებს.
საბაზო საფეხურზე ნაკლებად ერთვებიან ამ პროცესში მშობლები. თუმცა, მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, აქტიურად იმუშაონ ამ პროცესებში მშობლების ჩართულობაზე.
ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელთა განმარტებით, საბაზო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები შემუშავდა გუნდურად, პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობით, გასული წლის ანალიზის, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინებით. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები აკვირდებიან სხვადასხვა კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესს, მოსწავლეთა ჩართულობას, მათ შედეგებს. კათედრაზე უზიარებენ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებასა და მოსაზრებებს კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებულ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია გასულ

სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებზე მუშაობაც ეფექტიანი აღმოჩნდა და დამატებულია ახალი კომპლექსური დავალებებიც.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობას ისინი მოიაზრებენ როგორც ციკლურ პროცესს და მასში ჩართულობა მათთვის გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. მათ გააზრებული აქვთ, რომ კათედრის წევრებს, ისევე როგორც სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს, აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების პროექტები პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებამდე თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან. კურიკულუმების ჩარჩო ეგზავნება ასევე დაინტერესებულ მხარეებს. კათედრები იღებენ უკუკავშირს, რომელის გათვალისწინებითაც ხდება მისი დამტკიცება.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოყენებული საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა სკოლის ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. კურიკულუმების გაზიარება მშობლებთან ხდება მშობელთა კრებებზე. გარდა ამისა, სკოლაში აქვთ მშობლის ბარათების გამოყენების პრაქტიკა. ასევე აქტიურად იყენებენ სკოლაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებსაც.

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. სკოლა იყენებს ყველა საშუალებას იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა. ამისათვის კი აუცილებელია ინფორმირება, უკუკავშირი და პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში.

სპორტის კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შექმნილ კურიკულუმებს აქტიურად იზიარებს სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით: იქნება ეს ფესტივალები, ფესტივალები ინდივიდუალურ თუ გუნდურ სათამაშო სახეობებში, რომლებიც ჩაშლილია საერთო სასკოლო აქტივობებში- მძლეოსნობა, ბადმინტონი, ფეხბურთი, ფრებურთი და ლაშქრობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას უკვე აქვს ემისის მიერ გამოყოფილი ინტერნეტ სივრცე. შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას დამატებით აღნიშნული საშუალებითაც მიეწოდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის მისი-ხედვა-ღირებულებები
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ხელოვნება, მუსიკა)
- კომპლექსური დავალების ბარათი (მუსიკა);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება (ხელოვნება, მუსიკა).

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კათედრების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, თითოეული კლასის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი.

საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. გაწერილია ყველა სავალდებულო თემატური ერთეული და შესაბამისი საკითხთა კლასტერი. თუმცა, კომპლექსური დავალება შერჩეული იყო მხოლოდ IX კლასში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურზე არ ჰყავდათ მასწავლებელი და ამიტომ კომპლექსური დავალებების შერჩევა ახალი მასწავლებლის მიღებამდე გადადეს. ამის მიუხედავად, მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და მზაობა, წარმართონ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად.
სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ასევე, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც როგორც პირველი, ასევე მეორე უცხოური ენების კურიკულუმში. კერძოდ, საბაზო საფეხურზე, ორივე ენაში, ცალკეულ შემთხვევებში თემის ფარგლებში არ ხდება საფეხურის ყველა ცნების დამუშავება. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, უცხოური ენის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. მათ აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კათედრის წევრებს კურიკულუმი გააზრებული აქვს, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არ არის წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკი - “ საზოგადოება და ხელოვნება”. თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნებაა დამუშავებული. მითითებულია შესაბამისი ქვეცნებები და ქვესაკითხები. მუსიკის კურიკულუმებს აკლია რესურსები შესაბამისი ბმულებით. ასევე დასახვეწია კონტექსტ-მაგალითების ნაწილიც. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ გეგმავენ კურიკულუმების სათანადო რესურსებით გამდიდრებას. მათ მკაფიოდ და კონკრეტული მაგალითების საშუალებით ისაუბრეს, როგორ შეიძლება მათ მიერ დაგეგმილმა კომპლექსურმა დავალებებმა და სავარაუდო საეტაპო აქტივობებმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა განვითარებას. სკოლას მიეცა რჩევა: მუსიკის კურიკულუმებში დაიხვეწოს კონტექსტ-მაგალითების ნაწილი, მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოები და რესურსები შესაბამისი ბმულებით.

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს სურთ, მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლიდან შესთავაზონ საბუნებისმეტყველო საგნების წრე. თუმცა, აღნიშნული იდეის განხორციელებისათვის და ზოგადად, საბაზო საფეხურისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არსებობა, მისი მოწყობა და რეაქტივების შეძენა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დასკვნის სახით ითქვას, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება. ასევე აკეთებს რეფლექსიას რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად და რას შეცვლიდა სამომავლოდ.
საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. თითოეულ კლასში წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალება მაინც, რომლის დამუშავებაც გულისხმობს ამა თუ იმ გრძელვადიანი მიზნის გააქტიურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები, ქვეცნებები და სასწავლო თემები მიზნობრივად არის შერჩეული და შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, ქართული ენასა და ლიტერატურაში, VIII კლასში კათედრა გეგმავს განახორციელოს კომპლექსური დავალება შესწავლილი ტექსტების და დამატებითი მასალების გათვალისწინებით ანალიტიკური ესეს დაწერა, რომლის მიზანიც არის სამიზნე ცნებების - ჟანრის, კომპოზიციის, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, კონტექსტისა და გრამატიკის - გააქტიურება და დამუშავება, მაგრამ გამოკვეთილი არ არის რომელი ქვეცნებები აქტიურდება, რაც ხელს უშლის სწავლა-სწავლების პროცესის ნათლად წარმოდგენას. არ ჩანს, თუ როგორ მიჰყავს მასწავლებელს მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ კომპლექსური დავალების პირობის შესრულებამდე. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, რომ კომპლექსური დავალებების შესაბამისად მიუთითოს არა მარტო სამიზნე ცნებები, არამედ ქვეცნებებიც.
უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ საკითხები შერჩეულია თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. მოცემულია თითოეული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები, შერჩეულია კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები. თუმცა, იკვეთება მცირე უზუსტობებიც. მაგალითად, ორივე უცხოურ ენაში, რიგ შემთხვევებში, თემის ფარგლებში არ მუშავდება ცნება „კულტურათა დიალოგი“. ამის მიუხედავად, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იკვეთება, რომ სკოლის მზაობა და გრძელვადიანი მიზნები კორელაციაშია დანერგვის ინსტრუმენტებთან(დაგეგმვა,შეფასება). შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმასა და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ იკვეთება დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. ვინაიდან თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით, მასწავლებლები სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები.

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, მაგრამამას არ აქვს სისტემური ხასიათი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს. ასევე, სთავაზობენ სავალდებულო და არჩევითი ხასიათის დავალებებს, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვას სასწავლო პროცესებში.

საბაზო საფეხურის მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გაითვალისწინონ ეს მიდგომა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. მათ ისაუბრეს სასწავლო გარემოს მოქნილობაზე, სასწავლო პროცესის სწავლის და არა სწავლების პარადიგმაზე დაგეგმვაზე, მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე და შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულებაზე. ასევე გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ბუნება და შერჩეული პროდუქტის მრავალფეროვნება აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწალის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება. (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა).

სკოლას საბაზო საფეხურზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები გამოთქვამენ მზადყოფნას, შეადგინონ ინდ. გეგმები და წარმოადგინონ ადაპტირებული დავალებები.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კათედრების მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ იქნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით. აღნიშნული ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუს დროსაც.

საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ, შესაბამისი კადრის არყოლის გამო, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების მხოლოდ ერთი ნიმუში. მასში სწორად არის გაწერილი შედეგების მიღწევის ინდიკატორები თემის მიხედვით. კათედრამ გამოთქვა მზაობა, დანარჩენი შეფასების რუბრიკების შექმნასთან დაკავშირებით.

სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. შესაბამისად, უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს რუსული ენის მე-8 კლასის შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სადაც შეინიშნება ხარვეზები. კერძოდ, წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და მიემართება გრძელვადიანი შედეგების ინდიკატორებს, თუმცა, არ არის წარმოდგენილი საგნის სტანდარტის გრძელვადიანი შედეგების დასახელებები. ამასთან დაკავშირებით, მათ მიეცათ რჩევა, რომ განსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ასახონ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

სპორტის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი, რის მზაობასაც გამოთქვამენ სკოლის მასწავლებლები.
გარდა ამისა, სკოლას მიეცა რჩევა: ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე დაყრდნობით შეიმუშავონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა თემისთვის.
ინტერვიუს დროს საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ უკუკავშირს და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. კერძოდ, ამ პროცესის უზრუნველსაყოფად, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებას და ანალიზს. ასევე, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიის შედეგებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.
საბაზო საფეხურზე სკოლას არჩეული აქვს დიაგნოსტირების პირველი ინსტრუმენტი, კერძოდ, კომპლექსური დავალებით შეფასება, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასკოლო კურიკულუმში.
გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეულია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, სადაც კომპლექსურ დავალებებზე დაკვირვებით ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა და აღიწერება ისინი სათანადო მაგალითებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ ეს ინსტრუმენტი გამოყენონ წელიწადში არა ერთხელ, არამედ ორჯერ ან სამჯერ .
საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათდრის წევრებთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა,სასწავლო პროექტები. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ხელოვნება, მუსიკა);
- შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები (ხელოვნება, მუსიკა).
- სადიაგნოსტიკო ტესტები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საბაზო საფეხურზე საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. დავალების შესრულებისას მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა დაგეგმოს სწავლების პროცესი, დააკვირდეს საკუთარ თავს. გაეცნოს ახალ ინფორმაციას, დაამუშავოს და განიხილოს სხვადასხვა კონტექსტში, გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტი „ თიანეთის რაიონში ს. ნადოკრაში მდებარე არჩლის მონასტერში მოსული უცხოელ ტურისტებისათვის ბუკლეტის შექმნა რამოდენიმე ენაზე“, რაც ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. პროექტის აღწერილობაში გამოიკვეთა ხარვეზი, რაზეც მასწავლებლებს მიეცათ რჩევა. კერძოდ, მკაფიოდ მოხდეს პროექტის აქტუალურობის დასაბუთება.

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები. მაგალითად, სასკოლო პროექტი “დავიცვთ ჩვენი ბუნება”, რომელშიც ჩართული იყო ყველა საგნობრივი კათედრა და სრულად სასკოლო თემი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს და გამოფინიეს თემატური ნამუშევრები. სკოლას აქვს ასევე სკოლებს შორის პროექტების განხორცილების გამოცდილებაც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენას იძლევა, რომ დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, თუმცა, მასწავლებელთა თქმით, ცდილობენ მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში დაგამოიყენონ ვირტუალური ლაბორატორია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი უნარები. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით.

შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება, რაც მასწავლეებლებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

კარგად აქვთ გააზრებული. ამასთან, მასწავლებლები წინარე ცოდნის გათვალისწინებით იაზრებენ იმასაც, მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.

მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგელი აქვს კომპლექსური დავალების შესაბამისი ბარათი და მატრიცა, სადაც ნაბიჯ ნაბიჯ არის ნაჩვენები კომპლექსური დავლების განხორციელების ეტაპები, სადაც პირველი ნაბიჯი არის წინარე ცოდნის გააქტიურება, რასაც შემდეგ დააშენებენ ახალ მასალას. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა გასაუბრებისას ასევე აღნიშნეს, რომ ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. შესაბამისად, წინარე ცოდნას ეფუძნება საბაზო საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტის განხორციელების პრატიკა. თუმცა, სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა, კიდევ უფრო აქტიურად გააძლიერონ მუშაობა არაფორმალური განათლების გაძლიერების მიმართულებით.
საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნული ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში. სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.
საბაზო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან, დავალების ბარათებიდან და შესაბამისი მატრიცებიდან გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის შეძენაზე, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები აკვირდებიან სწავლის პროცესს და ახდენენ თვითრეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. საბოლოო პროდუქტის გასიტყვებისას მოსწავლეს საუბარი უწევს ასევე იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეარჩია ესა თუ ის სტრატეგია დასახული მიზნის მისაღწევად, რამდენად კარგად შეასრულა დავალება, რა ხარვეზი იყო და რა არის გასაუმჯობესებელი და რას შეცვლიდა უკეთესი შედეგის მისაღებად. შესაბამისად, მოსწავლეს სისტემატურად უწევს მიზნების, შედეგების და მიღებული გამოცდილების ანალიზი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ადასტურებს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტირებას, რაც განაპირობებს მოსწავლის პიროვნულ ზრდას და უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას.

სპორტის კათედრასთან შეხვედრისას ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საბაზო საფეხურზე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. სასწავლო პროცესში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს ასევე კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. მაგალითად, ხელოვნების IX კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება "შექმენით პოსტერი შემოქმედებითი თავისუფლების შესახებ, სადაც გამოჩნდება თქვენი პოზიცია, ხელოვანის თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიმართ". ასევე, მუსიკის IX კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - ესე თემაზე „სოციალური კატაკლიზმები სხვადასხვა დროის მუსიკაში". კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, განახორციელოს კონკრეტულ აქტივობები და ბოლოს შეძენილ ცოდნას იყენებს, საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით. ახლა, როდესაც სკოლამ გადაწყვიტა, 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს დასჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. მაგალითად, მეშვიდე კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალების განხორციელება - ანალიტიკური ესეს დაწერა (ბაზალეთის ტბასთან დაკავშირებული ლეგენდისა და ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბის" საფუძველზე, რომლის შესასრულებლადაც მოსწავლეს აუცილებლად სჭირდება სხვადასხვა „ცოდნა": ეპოქის მახასიათებლები, ავტორის მთავარი სათქმელი, თემა, ავტორის ბიოგრაფიული დეტალები და ა.შ. შესაბამისად, კომპლექსური ხასიათის დავალება ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები, პროექტული სწავლების მეთოდები, რომლებიც კომპლექსური დავალებების იდეებშია ასახული, ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. შესაბამისად, გულისხმობს მოსწავლის კომპეტენტური უნარების გააქტიურებას, გამოცდილების მობილიზებას და ერთმანეთთან დაკავშირებას. მასწავლებელთა მხრიდან, იკვეთება მზაობა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ იქნას გრძელვადიანი მიზნები, რომელიც

აუცილებლად მიიღწევა სწორად შესრულებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების შედეგად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები დაგეგმილია ისე, რომ შესაძლებელი იყოს სხვასხვა საგნების ინტეგრირება, რაც ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლებს აქვთ საჭირო გამოცდილება და ამავდროულად, გამოხატავენ მზაობას, დანერგონ კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოახდინონ მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- თემატური გეგმები;
- საბაზო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების ბარათები, თემატური მატრიცა (მათემატიკა);
- ინტეგრირებული პროექტი უცხოურ ენაში
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში;
- სასკოლო პროექტი “ დავიცვათ ჩვენი ბუნება”;

### 2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთთანაა დაკავშირებული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალების პირობები. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით. მაგალითად, სახელმწიფო ენის კათედრას VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვს დავალება: საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე მინიატურის შექმნა რამდენიმე ნიმუშის მიხედვით; აღნიშნული დავალებით აქტიურდება საბაზო საფეხურის ხუთი სამიზნე ცნება (ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, გრამატიკა, კონტექსტი) კონკრეტული ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით, აღსანიშნავია, რომ საშუალო საფეხურის კათედრას არ აქვს მითითებული ქვეცნებები, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის იმის ნათლად წარმოდგენას, თუ რომელი ქვესაკითხების დამუშავებით გეგმავს მასწავლებელი მოსწავლეების ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვანას დავალების განხორციელებამდე. მასწავლებელთა ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სასწავლო პროცესის მიზნობრივად წარმართვის მზაობა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმებში მიუთითონ ქვეცნებებიც.

ასევე, მათემატიკის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში, გაწერილია ყველა ძირითადი თემა, შესაბამისი ქვესაკითხებით, მითითებულია სამიზნე ცნებებიც, მაგრამ ყველგან არ არის განსაზღვრული ქვეცნებები. რადგან სკოლას საბაზო საფეხურზე მასწავლებლი სკოლას არ ჰყავდა, კურიკულუმში არ არის ასახული კომპლექსური დავალებებიც. მიუხედავად ამისა, მათ წარმოდგენილი აქვთ VII კლასის კომპლექსური დავალების ბარათი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება და გამოთქვეს მზაობა, რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ და შეავსებენ ყველა ხარვეზს.

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზოსაფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია მკაფიო კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ცნებების და ქვეცნებების ჩამონათვალი არასრულყოფილია. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული, რომ სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება. საერთო შეფასებით, კათედრაზე შემუშავებული შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. გარდა ამისა, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელ რუბრიკებზე დაყრდნობით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დააკონკრეტონ მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ამას გარდა, გამოიკვეთა, რომ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებაც მოხდება შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის კათედრამ შეარჩია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, სადაც კომპლექსურ დავალებებზე დაკვირვებით ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა და სათანადო მაგალითებით აღწერა.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ მუსიკის კურიკულუმებს არ ახლავს რესურსები და დასახვეწია კონტექსტ-მაგალითები, თუმცა, ინტერვიუს დროს ნათლად ჩანდა, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ კურიკულუმების სრულყოფისათვის შესაბამისი გამოცდილება. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ცნებების მიხედვით თემის ფარგლებში შედეგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მიღწევის ინდიკატორებიდან, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხისა და ქვესაკითხებთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ისინი კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, გააზრებული აქვს კურიკულუმის არსი და შექმნის პრინციპი. სკოლას მიეცა რჩევა: მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმებში დაიხვეწოს კონტექსტ-მაგალითები, მუსიკის კომპლექსური დავალებები გაიწეროს სრულყოფილად, მიეთითოს მრავალფეროვანი რესურსები შესაბამისი ბმულებით, ხელოვნების VIII კლასის კურიკულუმში დაემატოს მესამე სავალდებულო თემატური ბლოკი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საბაზო საფეხურზე გარკვეულ საგნებში შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, ეწყობა საგანამანათლებლო ექსკურსიები, ტარდება კლასის საათები და ა.შ.
მოსწავლეთა ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, საინტერესო და მრავალფეროვანი დავალებების შერჩევით მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
საბაზო საფეხურის დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები და შეძლოს გუნდური მუშაობა. ამასთან, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“, არამედ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.
საბაზო საფეხურზე სპორტის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავენ სხვდასხვა ზოგად განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსს, სპეციალურ ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღი წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტი, ჯანსაღი ცხოვრების წესის თემატიკიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების მიზნით საგნობრივი კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ინსტრუმენტებს. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ისინი ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან. ასევე, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. ამგვარი პოზიცია მათ აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და სკოლის მიერ შერჩეულ სადიაგნოსტიკო თუ განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებში იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრებზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.

სპორტის კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამოიყენება მიზანმიმართულად. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებელთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე ითქვა, რომ მომზადდება კიდევ რუბრიკებიც, რომლებსაც ასევე გააცნობენ მოსწავლეებს. თუმცა, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, დაგეგმოს დამატებით აქტივობები და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის ამ საქმიანობაში ჩართოს მოსწავლეებიც.

სკოლის მიერ შერჩეულ სადიაგნოსტიკო ინტრუმენტში თუ განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებში ასახულია ის საკვანძო საკითხები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემურ ხედვას. ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება ბუნდოვანება შეფასების ინსტრუმენტების წარმოებასთან დაკავშირებით. მაგ. უცხოური ენების კათედრა აპირებს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოებას წელიწადში ერთხელ, რაზეც მათ მიეცათ რჩევა, რომ ამ ინსტრუმენტის წარმოება მოახდინონ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. ამასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ და განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ,

ისინი აპირებენ პორტფოლიოებისა და დღიურების წარმოებას, საკუთარი მუშაობის რეფლექსიას და პროცესის მონიტორინგს.
საბაზო საფეხურის პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ რუბრიკებს ქმნიან კათედრათა შორის თანამშრომლობით, წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. კათედრები ახალი სასწავლო წლისთვის კვლავ გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემატური ერთეულისთვის.
წარმოდგენილი დოკუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრები ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს ჯიპრაიდის ტესტები.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტურად განხორციელებისათვის სკოლას დიდი დრო და რესურსი დასჭირდება. საჭიროა მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების შეფასების ცოდნა, რაშიც პირველ ნაბიჯებს აშკარად დგამს სკოლა. წარმოდგენილ მასალაში არაფორმალური განათლების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში და შემაჯამებელი დავალებების ანალიზში ჩანს ეფექტური შეფასება, რომელიც მოიცავს არა მარტო სტანდარტის შედეგებს, არამედ გამჭოლი პრიორიტეტების, კომპეტენტური უნარების შეფასებასაც.
სკოლა აპირებს აქტიურად იმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნაზე. დამატებით, უცხოური ენების კათედრის წევრები აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საბაზო საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ შეფასების დოკუმენტაცია სასწავლო წლის ბოლოს გადაეცემა სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. მას ასევე აქვს დაარქივების ფუნქციონალი. თუმცა, ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა სკოლამ განახორციელოს შეფასების სტატისტიკის ანალიზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ელექტრონულ ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- შემაჯამებლების ანალიზი
- თვითშეფასების კითხვარი
- საბაზო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები
- ინტეგრირებული პროექტი უცხოურ ენაში
- სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- უცხოური ენების კათედრის ოქმი

## 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. კერძოდ, თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალებები, რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა დაკვირვების შედეგად განსაზღვრონ მათი ინტერესები და შესაძლებლობები.

სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე. პედაგოგები

თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ისე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.

სკოლაში რომ საკმაოდ მაღალია ურთიერთთანამშრომლობითი გარემო, ამას მოწმობს ურთიერთდასწრების მექანიზმის არსებობაც. თანამშრომლობითი გარემო ვლინდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე კათედრებს შორისაც. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გაკვეთილზე დაკვირვების პროცესში არსებულ მიგნებებს და ამის გათვალისწინებით მუშაობენ სასწავლო კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. პედაგოგები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მათ ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.

მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება, ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებელთა ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლაში შეინიშნებოდა პოზიტიური, თანამშრომლობითი, კეთილგანწყობილი, პროფესიული გარემოს არსებობა. კათედრები გუნდური მუშაობის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, ერთად გეგმავენ და განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს. მასწავლებლები ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულუნ განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები. ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათ პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. მათ აღნიშნეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. ასევე გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებელთათვის მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი.

ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური დავალებები. მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ივკვეთება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად არის ჩამოყალიბებული. სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, ახდენენ სასწავლო პროცესის ანალიზს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ყოველივე ეს მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმონ აქტივობები მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც სხვადასხვა საშუალებებით გამოიხატება. მაგალითად, აქვთ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების (კრიტიკული მეგობარი), გამოცდილების გაზიარებისა და უკუკავშირის პრაქტიკა. ასევე, აქვთ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება, რასაც სამომავლოდაც გამოიყენებენ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში შექმნილი აქვთ ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდაჭერის ჯგუფიც.
სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, სხვასასხვა სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და მასალები, მომავალი წლისათვის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების სქემები, კრიტიკული მეგობრის გამოცდილებები. თითოეული მათგანი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი ჩართულობის შედეგია და თითოეული მათგანის მიზანი, სწავლის ხარისხის გაზრდა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნაა.
სკოლაში ვიზიტითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას. სასწავლო პროცესში თანაბრად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას საბაზო საფეხურზე . შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. პოზიტიური სასკოლო კლიმატი უზრუნველყოფილია სკოლისა და კლასის დონეზე და მოიცავს სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მაღალია ურთიერთპატივისცემა და ნდობის ხარისხი. თითოეული წევრი სკოლისა და კლასის დონეზე გრძნობს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სკოლის განვითარებაზე.
სკოლაში მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. ამაზეა ორიენტირებული სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემებიც, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.
სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები არიან თანასწორნი. სკოლას ჰყავს ნიჭიერი და შეზღუდული შესაძლებლობების, ასევე სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- სადამრიგებლო პროგრამები;
- შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები;
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

#### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და რევიზიის ინსტრუმენტები. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი და დაგეგმილი აქტივობების შედეგის შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგის გაანალიზება და რეკომენდაციები დაეხმარება მათ ახალი კურიკულუმების შემუშავების პროცესში და შედეგების გაუმჯობესებაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება სასკოლო საზოგადოების მზაობა, პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასწავლებლები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად.
სკოლაში მოქმედებს ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, რაც იძლევა დაკვირვების საშუალებას, თუ რამდენად შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს საბაზო საფეხურზე გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა შემდგომი პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. ერობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს, რაც შესაბამისად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. იკვეთება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი.
მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში აქვთ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის საშუალებითაც ხდება უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, ანალიზდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ეძლევათ სიტყვიერი უკუკავშირი,სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნისათვის. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.
გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყველა კათედრაზე, წევრები კათედრის თავჯდომარეს აბარებენ შუალედურ თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს. კათედრის ხელმძღვანელი კი თავის მხრივ ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. შესაბამისად, აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. სკოლა გამოხატავს მზაობას, მომავალში, მონიტორინგითა და შეფასებით უფრო ეფექტურად უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრები გეგმავენ წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატური გეგმის განვითარების საფუძველზე.
მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით იკვლევენ მათი გადაჭრის გზებს. შესაბამისად, იკვეთება სკოლის მზაობა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მონიტორინგის პროცესში ერთვება სკოლის ადმინისტრაციად. სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სკოლის დირექტორი და მოადგილე პერიოდულად ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა. მიღებული უკუკავშირი უზრუნველყოფს პრობლემის დანახვას, ჰოლისტურ შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.
სკოლის მიერ გააზრებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება, როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, აუცილებელი და საჭირო პროცესია, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის საშუალებას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- საბაზო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სასწავლო პროცესის მონიტორინგი, უზრუნველყოფს ჰოლისტურ შეფასებას. შეფასების რუბრიკები მიემართება სამიზნე ცნებებს და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგები აპირებენ მოსწავლეთა შესაფასებლად პორტფოლიოების წარმოებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, თვალი ადევნონ მოსწავლეთა პროგრესს.
მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.
ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც წარმოაჩენს მოსწავლის დადებით მხარეს. აღნიშნული სტრატეგია უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.
აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სწორი ხედვა, რომ შეფასება იყოს ინტეგრირებული და ერთიანი  და ამასთან, მონაცემების შეგროვება მოახდინონ  სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუთი ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებითა და აღნიშნულის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესების დროს, ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ შეფასების პროცესებს მასწავლებლები აკავშირებენ მოსწავლის ინტერესთა სფეროებთან. დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებზე და მათ შესაძლებლობებზეა  გათვლილი, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის პროგრესს.
მასწავლებლებს  აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას.  ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. რაც შეეხება მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევას, მათი თვასაზრისით, ამ პროცესის მიზანია, შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, რაც აუცილებლად კონტექსტსაც ითვალსიწინებს. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სწორი ხედვა და მზაობა, შეფასება განაცორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სკოლა ახორციელებს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს.  შეფასების მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, მასწავლებელი, დირექცია და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები არჩევენ შესაბამის მეთოდებს და სტრატეგიებს. ინფორმაციის შეგროვება ხდება: გამოკითხის, ინტერვიუს, დაკვირვებისა და სხვა შესაბამისი მეთოდების მეშვეობით. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება  დიდი მოცულობის ინფორმაციის მოსაპოვებლად. აღნიშნულ პროცესში აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია თუ როგორ ხორციელდება სასწავლო სასკოლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი იყენებენ კვლევებს, ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ექსპერიმენტს, ფოკუს-ჯგუფებს, მეორად კვლევებს და სხვა.

სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) და მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდაც გეგმავს სადიაგნოსტიკო ტესტირებების განხორციელებას. ამასთან, გამოხატავენ მზაობას მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის ეფექტურად საწარმოებლად. მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც. გარდა ამისა, ითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, როგორებიცაა - სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები და სასკოლო მზაობა და ა.შ.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეზე მულტიფაქტორული მიდგომა: მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

სკოლაში აქვთ საუკეთესო გამოცდილება მოსწავლეთა სხვადასხვა საგნობრივ თუ სოციალურ პროექტში ჩართვის, რაც მოსწავლეთა კოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს და გარკვეულ გავლენას მოახდენს შეფასების პროცესებზეც.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიც არის მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, ფსიქო-ემოციური მდგომარება და სხვ. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი ოქმი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- საბაზო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- ადაპტრებული კომპლექსური დავალებები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მექანიზმები, რაც გულისხმობს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, კურიკულუმის განვითარების მიზნით, შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას. აღნიშნული სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესშიც.

მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამაშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს რამდენად მნიშვნელოვანია დაგეგმვის

პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.
საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. საგნობრივი კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შესაბამის ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებსა და რჩევებს. წარმატებული აქტივობები გაზიარულია და გამოყენებებულია მასწავლებელთა მიერ საგაკვეთილო პროცესის უკეთ ჩატარების პრაქტიკის დანერგვისათვის.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები. ისინი ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ზემოთ აღნიშნული ყველა აქტივობა ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც.
მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები წინა წლის კურიკულუმის გადამუშავების შედეგად შექმნეს და ის გამოცდილებები გაითვალისწინეს, რაც მონიტორინგის დროს გამოიკვეთა. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები, შეფასების რუბრიკები, კათედრის სხდომის ოქმები, განვითარების სტრატეგიული გეგმა და კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.
შესაბამისად იკვეთება, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრებზე განხორციელებული აქტივობების, განხილვა, მსჯელობა მათ ეფექტიანობაზე და მონაცემების შეჯერების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. სკოლას ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კურიკულუმის დანერგვისა და მოდიფიცირების პროცესები, თუმცა, უნდა აღინიშნოს მათი მზაობა ამ მიმართულებით.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- თემატური გეგმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითვარი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ მათგან რჩევებსა და რეკომენდაციებს. მსჯელობენ და აწყობენ განიხილვას როგორც კათედრებზე, ასევე სხვა კათედრების ჩართულობითაც. უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის. მასწავლებლებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთანაც, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნათლად არ ჩანს კურიკულუმის შემუშავების პროცესი, დიზაინი, ვის რა ფუნქცია აქვს, როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება, რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები, მისი რეალიზების დრო და სივრცე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგებს აქვთ მზაობა და გეგმავენ, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები და ასახონ კურიკულუმში. გარდა ამისა, მასწავლებელებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესებისა და საკითხთა სპექტრის მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა. ინტერვიუსას მათ ისაუბრეს მშობელთა ბარათებისა და კოლეგების უკუკავშირის მიზნობრიობის შესახებ. ასევე, განაცხადეს რომ მუდმივად ხდება სასწავლო პროცესის ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. საშუალო საფეხურზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მასწავლებლები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, განიხილავენ დადებითი და უარყოფითი შედეგების მიზეზებს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს. შესაბამისად, ხდება მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული კურიკულიმების შემუშავება, რომელიც ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, კათედრების მიერ მომზადებულ წლიურ ანალიზსა და ურთიერთანაშრომლობის შედეგად გამოკვეთილ მიგნებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მისია და ხედვა, სადაც სკოლის პრიორიტეტებია აღწერილი. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებშიც მოცემულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. საკითხები დაყოფილია თემატურად. თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლა მისია-ხედვა-ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.
კურიკულმზე მუშაობის პროცესში საშუალო საფეხურის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს წინა წლის გამოცდილებას, მოსწავლეთა შედეგებსა და ინტერესებს, არსებულ გამოწვევებს, მშობელთან შეხვედრებზე გამოვლენილ საჭიროებებს და ირჩევენ შესაბამის კომპლექსური ბუნების დავალებებსა და აქტივობებს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ მასწავლებელთა მიერ შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები.
მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტებში ნათლად არ ჩანს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. შესაბამისად, სკოლაში კურიკულუმების შექმნა ხორციელდება თანამშრომლობის შედეგად, მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებებისა და მათი შედეგების გათვალისწინებით. ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რასაც მასწავლებლები ასახავენ კურიკულუმში - არჩევენ შესაბამის კომპლექსურ დავალებებს, რესურსებსა და აქტივობებს.
საშუალო საფეხურზე ნაკლებად ერთვებიან ამ პროცესში მშობლები. თუმცა, მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, აქტიურად იმუშაონ ამ პროცესებში მშობლების ჩართულობაზე.
ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელთა განმარტებით, საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები შემუშავდა გუნდურად, პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობით, გასული წლის ანალიზის, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინებით. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები აკვირდებიან სხვადასხვა კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესს, მოსწავლეთა ჩართულობას, მათ შედეგებს. კათედრაზე უზიარებენ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებასა და მოსაზრებებს კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებულ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია გასულ სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებზე მუშაობაც ეფექტიანი აღმოჩნდა და დამატებულია ახალი კომპლექსური დავალებებიც. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე 2023-

2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი პროექტები შეირჩა უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობას ისინი მოიაზრებენ როგორც ციკლურ პროცესს და მასში ჩართულობა მათთვის გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. მათ გააზრებული აქვთ, რომ კათედრის წევრებს, ისევე როგორც სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს, აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების პროექტები პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებამდე თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან. კურიკულუმების ჩარჩო ეგზავნება ასევე დაინტერესებულ მხარეებს. კათედრები იღებენ უკუკავშირს, რომელის გათვალისწინებითაც ხდება მისი დამტკიცება.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოყენებული საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა სკოლის ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. კურიკულუმების გაზიარება მშობლებთან ხდება მშობელთა კრებებზე. გარდა ამისა, სკოლაში აქვთ მშობლის ბარათების გამოყენების პრაქტიკა. ასევე აქტიურად იყენებენ სკოლაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებსაც.
სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. სკოლა იყენებს ყველა საშუალებას იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა. ამისათვის კი აუცილებელია ინფორმირება, უკუკავშირი და პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში.
სპორტის კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შექმნილ კურიკულუმებს აქტიურად იზიარებს სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით: იქნება ეს ფესტივალები, ფესტივალები ინდივიდუალურ თუ გუნდურ სათამაშო სახეობებში, რომლებიც ჩაშლილია საერთო სასკოლო აქტივობებში- მძლეოსნობა, ბადმინტონი, ფეხბურთი, ფრებურთი და ლაშქრობა.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას უკვე აქვს ემისის მიერ გამოყოფილი ინტერნეტ სივრცე. შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას დამატებით აღნიშნული საშუალებებითაც მიეწოდება.
აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის მისი-ხედვა-ღირებულებები
- კომპლექსური დავალების ბარათი (მუსიკა);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კათედრების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, თითოეული კლასის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი.
სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ასევე, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც როგორც პირველი, ასევე მეორე უცხოური ენების კურიკულუმში. კერძოდ, საშუალო საფეხურზე, ორივე ენაში, ცალკეულ შემთხვევებში თემის ფარგლებში არ ხდება საფეხურის ყველა ცნების დამუშავება. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, უცხოური ენის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. მათ აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა ისწავლება პროექტულად. მასწავლებლებმა ისაუბრეს, როგორ შეიძლება შეუწყოს პროექტულმა სწავლებამ ხელი მოსწავლის განვითარებას. ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრებმა წარმოადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩო მუსიკასა და ხელოვნებაში. შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლაში იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კათედრის წევრებს კურიკულუმი გააზრებული აქვს, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. იქმნება მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს სურთ, მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლიდან შესთავაზონ საბუნებისმეტყველო საგნების წრე. თუმცა, აღნიშნული იდეის განხორციელებისათვის და ზოგადად, სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არსებობა, მისი მოწყობა და რეაქტივების შეძენა.

დასკვნის სახით ითქვას, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. *კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს

მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება. ასევე აკეთებს რეფლექსიას რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად და რას შეცვლიდა სამომავლოდ.
საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. თითოეულ კლასში წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალება მაინც, რომლის დამუშავებაც გულისხმობს ამა თუ იმ გრძელვადიანი მიზნის გააქტიურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები, ქვეცნებები და სასწავლო თემები მიზნობრივად არის შერჩეული და შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, ქართული ენასა და ლიტერატურაში, X კლასში კათედრა გეგმავს განახორციელოს კომპლექსური დავალება შესწავლილი ტექსტების და დამატებითი მასალების გათვალისწინებით ანალიტიკური ესეს დაწერა, რომლის მიზანიც არის სამიზნე ცნებების - ჟანრის, კომპოზიციის, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, კონტექსტისა და გრამატიკის - გააქტიურება და დამუშავება, მაგრამ გამოკვეთილი არ არის რომელი ქვეცნებები აქტიურდება, რაც ხელს უშლის სწავლა-სწავლების პროცესის ნათლად წარმოდგენას. არ ჩანს, თუ როგორ მიჰყავს მასწავლებელს მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ კომპლექსური დავალების პირობის შესრულებამდე. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, რომ კომპლექსური დავალებების შესაბამისად მიუთითოს არა მარტო სამიზნე ცნებები, არამედ ქვეცნებებიც.
უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ საკითხები შერჩეულია თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. მოცემულია თითოეული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები, შერჩეულია კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები. წარმოდგენილ დოკუმენტებში დაგეგმილ სასწავლო პროცესებში, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. მაგალითად, რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის მითითებული სახელმძღვანელოები, რის შესახებაც სკოლას მიეცა რჩევა, რომ ძირითადი რესურსების ჩამონათვალში მიუთითონ გრიფირებული სახელმძღვანელოების სახელწოდება. ამის მიუხედავად, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იკვეთება, რომ სკოლის მზაობა და გრძელვადიანი მიზნები კორელაციაშია დანერგვის ინსტრუმენტებთან(დაგეგმვა,შეფასება). შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმასა და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ იკვეთება დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. ვინაიდან თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით, მასწავლებლები სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები.
მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, მაგრამ ამას არ აქვს სისტემური ხასიათი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს. ასევე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სთავაზობენ სავალდებულო და არჩევითი ხასიათის დავალებებს, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვას სასწავლო პროცესებში.
საშუალო საფეხურის მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გაითვალისწინონ ეს მიდგომა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. მათ ისაუბრეს სასწავლო გარემოს მოქნილობაზე, სასწავლო პროცესის სწავლის და არა სწავლების პარადიგმაზე დაგეგმვაზე, მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე და შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულებაზე. ასევე გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ბუნება და შერჩეული პროდუქტის მრავალფეროვნება აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი  და მათთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა  და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება. (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა).
სკოლას საშუალო საფეხურზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები გამოთქვამენ მზადყოფნას, შეადგინონ ინდ. გეგმები და წარმოადგინონ ადაპტირებული დავალებები.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კათედრების მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ იქნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით. აღნიშნული ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუს დროსაც.
საშუალო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ, წარმოდგენილია  განმსაზღვრელი შეფასების მხოლოდ ერთი ნიმუში. მასში სწორად არის გაწერილი შედეგების მიღწევის ინდიკატორები თემის მიხედვით. კათედრამ გამოთქვა მზაობა, დანარჩენი შეფასების რუბრიკების შექმნასთან დაკავშირებით.
უცხოური ენების კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და განსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ საშუალო საფეხურზე  დაგეგმილია ისეთი პროცესი, სადაც სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. შესაბამისად, უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს რუსული ენის მე-10 კლასის შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სადაც შეინიშნება ხარვეზები. კერძოდ, წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და მიემართება გრძელვადიანი შედეგების ინდიკატორებს, თუმცა, არ არის წარმოდგენილი საგნის სტანდარტის გრძელვადიანი შედეგების დასახელებები.  ამასთან დაკავშირებით, მათ მიეცათ რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ასახონ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.  რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, საშუალო საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა რუსული ენის მე-12 კლასის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა. მათ მიეცათ რჩევა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ  ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დააკონკრეტონ მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სპორტის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი, რის მზაობასაც გამოთქვამენ სკოლის მასწავლებლები.
გარდა ამისა, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილია პროექტის შეფასების რუბრიკა. სკოლას მიეცა რჩევა: პროექტის შეფასების რუბრიკაში წარმოდგენილი კრიტერიუმები მაქსიმალურად ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე.
ინტერვიუს დროს საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ უკუკავშირს და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა.
მოსწვალის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე „სოლო“ ტაქსონომიის გამოყენების პრაქტიკა, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას.
ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. კერძოდ, ამ პროცესის უზრუნველსაყოფად, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებას და ანალიზს. ასევე, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიის შედეგებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.
საშუალო საფეხურზე სკოლას არჩეული აქვს დიაგნოსტირების პირველი ინსტრუმენტი, კერძოდ, კომპლექსური დავალებით შეფასება, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასკოლო კურიკულუმში.
გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეულია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, სადაც კომპლექსურ დავალებებზე დაკვირვებით ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა და აღიწერება ისინი სათანადო მაგალითებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ ეს ინსტრუმენტი გამოყენონ წელიწადში არა ერთხელ, არამედ ორჯერ ან სამჯერ .
საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა,სასწავლო პროექტები. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის შემაჯამებელი ოქმები
- საშუალო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ხელოვნება, მუსიკა);
- შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები (ხელოვნება, მუსიკა).
- სადიაგნოსტიკო ტესტები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

### 2.2.კურიკულუმის განხორციელება

#### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. დავალების შესრულებისას მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა დაგეგმოს სწავლების პროცესი, დააკვირდეს საკუთარ თავს. გაეცნოს ახალ ინფორმაციას, დაამუშავოს და განიხილოს სხვადასხვა კონტექსტში, გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

მათემატიკის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები სრულად არ არის შევსებული. თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თემის სიღრმისეული შესწავლისთვის მნიშვნელოვანია ცოდნის გამოყენება სხვა კონტექსტში, რასაც უზრუნველყოფს სწორად შერჩეული კომპლექსური დავალებები. ისინი ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას.

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტი „ თიანეთის რაიონში ს. ნადოკრაში მდებარე არჩლის მონასტერში მოსული უცხოელ ტურისტებისათვის ბუკლეტის შექმნა რამოდენიმე ენაზე", რაც ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. პროექტის აღწერილობაში გამოიკვეთა ხარვეზი, რაზეც მასწავლებლებს მიეცათ რჩევა. კერძოდ, მკაფიოდ მოხდეს პროექტის აქტუალურობის დასაბუთება.

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები. მაგალითად, სასკოლო პროექტი "დავიცვთ ჩვენი ბუნება", რომელშიც ჩართული იყო ყველა საგნობრივი კათედრა და სრულად სასკოლო თემი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს და გამოფინიეს თემატური ნამუშევრები. სკოლას აქვს ასევე სკოლებს შორის პროექტების განხორციელების გამოცდილებაც.

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენას იძლევა, რომ დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, თუმცა, მასწავლებელთა თქმით, ცდილობენ მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში დაგამოიყენონ ვირტუალური ლაბორატორია.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი უნარები. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით.
შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება, რაც მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული. ამასთან, მასწავლებლები წინარე ცოდნის გათვალისწინებით იაზრებენ იმასაც, მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.
მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგელი აქვს კომპლექსური დავალების შესაბამისი ბარათი და მატრიცა, სადაც ნაბიჯ ნაბიჯ არის ნაჩვენები კომპლექსური დავლების განხორციელების ეტაპები, სადაც პირველი ნაბიჯი არის წინარე ცოდნის გააქტიურება, რასაც შემდეგ დააშენებენ ახალ მასალას.
საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა გასაუბრებისას ასევე აღნიშნეს, რომ ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. შესაბამისად, წინარე ცოდნას ეფუძნება საშუალო საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტის განხორციელების პრატიკა. თუმცა, სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა, კიდევ უფრო აქტიურად გააძლიერონ მუშაობა არაფორმალური განათლების გაძლიერების მიმართულებით.
საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნული ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში. სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.
საბაზო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან, დავალების ბარათებიდან და შესაბამისი მატრიცებიდან გამოიკვეთა, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის შეძენაზე, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები აკვირდებიან სწავლის პროცესს და ახდენენ თვითრეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. საბოლოო პროდუქტის გასიტყვებისას მოსწავლეს საუბარი უწევს ასევე იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეარჩია ესა თუ ის სტრატეგია დასახული მიზნის მისაღწევად, რამდენად კარგად შეასრულა დავალება, რა ხარვეზი იყო და რა არის გასაუმჯობესებელი და რას შეცვლიდა უკეთესი შედეგის მისაღებად. შესაბამისად, მოსწავლეს სისტემატურად უწევს მიზნების, შედეგების და მიღებული გამოცდილების ანალიზი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ადასტურებს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტირებას, რაც განაპირობებს მოსწავლის პიროვნულ ზრდას და უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას.

სპორტის კათედრასთან შეხვედრისას ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საშუალო საფეხურზე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. სასწავლო პროცესში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს ასევე კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც.

საშუალო საფეხურზე არჩეული პროექტები და პროექტის განხორციელების ეტაპზე განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს დეკლარატიული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. შესაბამისად, მოსწავლეები შეძლებენ როგორც დეკლარატიული, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით. ახლა, როდესაც სკოლამ გადაწყვიტა, 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი აგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს დასჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. მაგალითად, X კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალების განხორციელება - წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟ დავით გურამიშვილთან, რომლის შესასრულებლადაც მოსწავლეს აუცილებლად სჭირდება სხვადასხვა „ცოდნა“. ამ ცოდნათა გაერთიანებით მოსწავლე შეძლებს დავალების შესრულებას.
საინტერესო კომპლექსური ტიპის არაერთი დავალება აქვს წარმოდგენილი უცხოური ენების კათედრას საშუალო საფეხურზე. დავალების პირობების გათვალისწინებით იკვეთება, რომ კომპლექსური ხასიათის დავალებები ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.
გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები, პროექტული სწავლების მეთოდები, რომლებიც კომპლექსური დავალებების იდეებშია ასახული, ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. შესაბამისად, გულისხმობს მოსწავლის კომპეტენტური უნარების გააქტიურებას, გამოცდილების მობილიზებას და ერთმანეთთან დაკავშირებას.
მასწავლებელთა მხრიდან, იკვეთება მზაობა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ იქნას გრძელვადიანი მიზნები, რომელიც აუცილებლად მიიღწევა სწორად შესრულებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების შედეგად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები დაგეგმილია ისე, რომ შესაძლებელი იყოს სხვასხვა საგნების ინტეგრირება, რაც ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს აქვთ საჭირო გამოცდილება და ამავდროულად, გამოხატავენ მზაობას, დანერგონ კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოახდინონ მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- თემატური გეგმები;
- ინტეგრირებული პროექტი უცხოურ ენაში;
- სასკოლო პროექტი “ დავიცვათ ჩვენი ბუნება”;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთთანაა დაკავშირებული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალების პირობები. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით. მაგალითად, სახელმწიფო ენის კათედრას X კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვს დავალება: ეპოქის რეკონსტრუირებული სურათი ქრონიკებსა და მატიანეში, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მიხედვით; აღნიშნული დავალებით აქტიურდება საშუალო საფეხურის ოთხივე სამიზნე ცნება კონკრეტული ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით. აღსანიშნავია, რომ საშუალო საფეხურის კათედრას არ აქვს მითითებული ქვეცნებები, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის იმის ნათლად წარმოდგენას, თუ რომელი ქვესაკითხების დამუშავებით გეგმავს მასწავლებელი მოსწავლეების ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვანას დავალების განხორციელებამდე. მასწავლებელთა ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სასწავლო პროცესის მიზნობრივად წარმართვის მზაობა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმებში მიუთითონ ქვეცნებებიც.
ასევე, მათემატიკის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში, გაწერილია ყველა ძირითადი თემა, შესაბამისი ქვესაკითხებით, მითითებულია სამიზნე ცნებებიც, მაგრამ ყველგან არ არის განსაზღვრული ქვეცნებები. კურიკულუმში არ არის ასახული კომპლექსური დავალებებიც. თუმცა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება და გამოთქვეს მზაობა, რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ და შეავსებენ ყველა ხარვეზს.
უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია მკაფიო კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ცნებების და ქვეცნებების ჩამონათვალი არასრულყოფილია. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული, რომ სამიზნე ცნებები არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება. საერთო შეფასებით, კათედრაზე შემუშავებული შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. გარდა ამისა, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელ რუბრიკებზე დაყრდნობით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დააფუძნონ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დააკონკრეტონ მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ამას გარდა, გამოიკვეთა, რომ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებაც მოხდება შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის კათედრამ შეარჩია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, სადაც კომპლექსურ დავალებებზე დაკვირვებით ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა და სათანადო მაგალითებით აღწერა.

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებულ ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში და მუსიკის პროექტის გეგმაში პროექტის იდეები სწორად არის განსაზღვრული. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ცნებებთანაა დაკავშირებული შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ცნებების მიხედვით თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხისა და ქვესაკითხებთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საშუალო საფეხურზე გარკვეულ საგნებში შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, ეწყობა საგანამანათლებლო ექსკურსიები, ტარდება კლასის საათები და ა.შ.

მოსწავლეთა ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, საინტერესო და მრავალფეროვანი დავალებების შერჩევით მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საშუალო საფეხურის დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები და შეძლოს გუნდური მუშაობა. ამასთან, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას", არამედ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.

საშუალო საფეხურზე სპორტის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავენ სხვდასხვა ზოგად განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსს, სპეციალურ ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღი წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტი, ჯანსაღი ცხოვრების წესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

თემატიკიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების მიზნით საგნობრივი კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ისინი ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან. ასევე, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. ამგვარი პოზიცია მათ აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.
წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას,
საშუალო საფეხურის კურიკულუმებში და სკოლის მიერ შერჩეულ სადიაგნოსტიკო თუ განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებში იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრებზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.
სპორტის კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამოიყენება მიზანმიმართულად. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებელბთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე ითქვა, რომ მომზადდება კიდევ რუბრიკებიც, რომლებსაც ასევე გააცნობენ მოსწავლეებს. თუმცა, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, დაგეგმოს დამატებით აქტივობები და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის ამ საქმიანობაში ჩართოს მოსწავლეებიც.
სკოლის მიერ შერჩეულ სადიაგნოსტიკო ინტრუმენტში თუ განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებში ასახულია ის საკვანძო საკითხები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემურ ხედვას. ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება ბუნდოვანება შეფასების ინსტრუმენტების წარმოებასთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დაკავშირებით. მაგ. უცხოური ენების კათედრა აპირებს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოებას წელიწადში ერთხელ, რაზეც მათ მიეცათ რჩევა, რომ ამ ინსტრუმენტის წარმოება მოახდინონ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. ამასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ და განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, ისინი აპირებენ პორტფოლიოებისა და დღიურების წარმოებას, საკუთარი მუშაობის რეფლექსიას და პროცესის მონიტორინგს.
საშუალო საფეხურის პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ რუბრიკებს ქმნიან კათედრათა შორის თანამშრომლობით, წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. კათედრები ახალი სასწავლო წლისთვის კვლავ გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემატური ერთეულისთვის.
წარმოდგენილი დოკუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრები ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს ჯიპრაიდის ტესტები.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტურად განხორციელებისათვის სკოლას დიდი დრო და რესურსი დასჭირდება. საჭიროა მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების შეფასების ცოდნა, რაშიც პირველ ნაბიჯებს აშკარად დგამს სკოლა. წარმოდგენილ მასალაში არაფორმალური განათლების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში და შემაჯამებელი დავალებების ანალიზში ჩანს ეფექტური შეფასება, რომელიც მოიცავს არა მარტო სტანდარტის შედეგებს, არამედ გამჭოლი პრიორიტეტების, კომპეტენტური უნარების შეფასებასაც.
სკოლა აპირებს აქტიურად იმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნაზე. დამატებით, უცხოური ენების კათედრის წევრები აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საშუალო საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ შეფასების დოკუმენტაცია სასწავლო წლის ბოლოს გადაეცემა სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. მას ასევე აქვს დაარქივების ფუნქციონალი. თუმცა, ადმინისტრაციას

ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა სკოლამ განახორციელოს შეფასების სტატისტიკის ანალიზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ელექტრონულ ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- ინტეგრირებული პროექტი უცხოურ ენაში
- უცხოური ენების კათედრის ოქმი
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- შემაჯამებლების ანალიზი
- თვითშეფასების კითხვარი

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.** სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. კერძოდ, თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალებები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა დაკვირვების შედეგად განსაზღვრონ მათი ინტერესები და შესაძლებლობები.
სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ისე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.
სკოლაში რომ საკმაოდ მაღალია ურთიერთთანამშრომლობითი გარემო, ამას მოწმობს ურთიერთდასწრების მექანიზმის არსებობაც. თანამშრომლობითი გარემო ვლინდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე კათედრებს შორისაც. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გაკვეთილზე დაკვირვების პროცესში არსებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით მუშაობენ სასწავლო კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. პედაგოგები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მათ ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.
მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება, ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებელთა ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლაში შეინიშნებოდა პოზიტიური, თანამშრომლობითი, კეთილგანწყობილი, პროფესიული გარემოს არსებობა. კათედრები გუნდური მუშაობის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, ერთად გეგმავენ და განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს. მასწავლებლები ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულუნ განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები. ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათ პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. მათ აღნიშნეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. ასევე გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებელთათვის მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი.
ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური დავალებები. მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად არის ჩამოყალიბებული. სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, ახდენენ სასწავლო პროცესის ანალიზს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ყოველივე ეს მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმონ აქტივობები მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც სხვადასხვა საშუალებებით გამოიხატება. მაგალითად, აქვთ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების (კრიტიკული მეგობარი), გამოცდილების გაზიარებისა და უკუკავშირის პრაქტიკა. ასევე, აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება, რასაც სამომავლოდაც გამოიყენებენ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში შექმნილი აქვთ ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდაჭერის ჯგუფიც.

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, სხვასასხვა სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და მასალები, მომავალი წლისათვის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების სქემები, კრიტიკული მეგობრის გამოცდილებები. თითოეული მათგანი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი ჩართულობის შედეგია და თითოეული მათგანის მიზანი, სწავლის ხარისხის გაზრდა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნაა.

სკოლაში ვიზიტითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას. სასწავლო პროცესში თანაბრად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას საშუალო საფეხურზე . შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. პოზიტიური სასკოლო კლიმატი უზრუნველყოფილია სკოლისა და კლასის დონეზე და მოიცავს სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მაღალია ურთიერთპატივისცემა და ნდობის ხარისხი. თითოეული წევრი სკოლისა და კლასის დონეზე გრძნობს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სკოლის განვითარებაზე.

სკოლაში მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. ამაზეა ორიენტირებული სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემებიც, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები არიან თანასწორნი. სკოლას ჰყავს სოციალურ და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და რევიზიის ინსტრუმენტები. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი და დაგეგმილი აქტივობების შედეგის შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგის გაანალიზება და რეკომენდაციები დაეხმარება მათ ახალი კურიკულუმების შემუშავების პროცესში და შედეგების გაუმჯობესებაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებითა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება სასკოლო საზოგადოების მზაობა, პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასწავლებლები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად.
სკოლაში მოქმედებს ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, რაც იძლევა დაკვირვების საშუალებას, თუ რამდენად შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს საშუალო საფეხურზე გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა შემდგომი პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. ერობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს, რაც შესაბამისად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. იკვეთება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი.
მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში აქვთ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის საშუალებითაც ხდება უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, ანალიზდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ეძლევათ სიტყვიერი უკუკავშირი,სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნისათვის. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.
გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყველა კათედრაზე, წევრები კათედრის თავჯდომარეს აბარებენ შუალედურ თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს. კათედრის ხელმძღვანელი კი თავის მხრივ ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. შესაბამისად, აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. სკოლა გამოხატავს მზაობას, მომავალში, მონიტორინგითა და შეფასებით უფრო ეფექტურად უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრები გეგმავენ წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატური გეგმის განვითარების საფუძველზე.
მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით იკვლევენ მათი გადაჭრის გზებს. შესაბამისად, იკვეთება სკოლის მზაობა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების

გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება.
მონიტორინგის პროცესში ერთვება სკოლის ადმინისტრაციაც. სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სკოლის დირექტორი და მოადგილე პერიოდულად ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა. მიღებული უკუკავშირი უზრუნველყოფს პრობლემის დანახვას, ჰოლისტურ შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.
სკოლის მიერ გააზრებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება, როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, აუცილებელი და საჭირო პროცესია, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის საშუალებას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სასწავლო პროცესის მონიტორინგი, უზრუნველყოფს ჰოლისტურ შეფასებას. შეფასების რუბრიკები მიემართება სამიზნე ცნებებს და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგები აპირებენ მოსწავლეთა შესაფასებლად პორტფოლიოების წარმოებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, თვალი ადევნონ მოსწავლეთა პროგრესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.
ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც წარმოაჩენს მოსწავლის დადებით მხარეს. აღნიშნული სტრატეგია უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.
აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სწორი ხედვა, რომ შეფასება იყოს ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება მოახდინონ სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლბთან ჩატარებული ინტერვიუთი ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებითა და აღნიშნულის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესების დროს, ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ შეფასების პროცესებს მასწავლებლები აკავშირებენ მოსწავლის ინტერესთა სფეროებთან. დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებზე და მათ შესაძლებლობებზეა გათვლილი, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის პროგრესს.
მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. რაც შეეხება მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევას, მათი თვასაზრისით, ამ პროცესის მიზანია, შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, რაც აუცილებლად კონტექსტსაც ითვალსიწინებს. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სწორი ხედვა და მზაობა, შეფასება განაცორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სკოლა ახორციელებს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. შეფასების მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, მასწავლებელი, დირექცია და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები არჩევენ შესაბამის მეთოდებს და სტრატეგიებს. ინფორმაციის შეგროვება ხდება: გამოკითხის, ინტერვიუს, დაკვირვებისა და სხვა შესაბამისი მეთოდების მეშვეობით. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის მოსაპოვებლად. აღნიშნულ პროცესში აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია თუ როგორ ხორციელდება სასწავლო სასკოლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი იყენებენ კვლევებს, ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ექსპერიმენტს, ფოკუს-ჯგუფებს, მეორად კვლევებს და სხვა.
სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) და მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდაც გეგმავს სადიაგნოსტიკო ტესტირებების განხორციელებას. ამასთან, გამოხატავენ მზაობას მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის ეფექტურად საწარმოებლად. მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც. გარდა ამისა, ითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, როგორებიცაა - სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები და სასკოლო მზაობა და ა.შ.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეზე მულტიფაქტორული მიდგომა: მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.
სკოლაში აქვთ საუკეთესო გამოცდილება მოსწავლეთა სხვადასხვა საგნობრივ თუ სოციალურ პროექტში ჩართვის, რაც მოსწავლეთა კოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს და გარკვეულ გავლენას მოახდენს შეფასების პროცესებზეც.
აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიც არის მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და სხვ. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი ოქმი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადაპტრებული კომპლექსური დავალებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მექანიზმები, რაც გულისხმობს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, კურიკულუმის განვითარების მიზნით, შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას. აღნიშნული სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესშიც.

მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს

ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს რამდენად მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.
სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. საგნობრივი კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შესაბამის ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებსა და რჩევებს. წარმატებული აქტივობები გაზიარებულია და გამოყენებებულია მასწავლებელთა მიერ საგაკვეთილო პროცესის უკეთ ჩატარების პრაქტიკის დანერგვისათვის.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები. ისინი ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ზემოთ აღნიშნული ყველა აქტივობა ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც.
მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები წინა წლის კურიკულუმის გადამუშავების შედეგად შექმნეს და ის გამოცდილებები გაითვალისწინეს, რაც მონიტორინგის დროს გამოიკვეთა. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები, შეფასების რუბრიკები, კათედრის სხდომის ოქმები, განვითარების სტრატეგიული გეგმა და კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.
შესაბამისად იკვეთება, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრებზე განხორციელებული აქტივობების, განხილვა, მსჯელობა მათ ეფექტიანობაზე და მონაცემების შეჯერების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. სკოლას ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კურიკულუმის დანერგვისა და მოდიფიცირების პროცესები, თუმცა, უნდა აღინიშნოს მათი მზაობა ამ მიმართულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- თემატური გეგმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითვარი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................

....................

თარიღი: 22.09.2023 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----